საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკარბისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 14 მარტი, 2015 წელი.

№48 (7693)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

21 მარტი ცხადად გამოაჩენს მტერსაც და მოყვარესაც!

მოძალადე, დამნაშავე ნაციონალთა უტიფრობასა და თავხედობას მართლაც საზღვარი არა აქვს. იმის მაგივრად, რომ, როგორც იტყვიან, ხმაჩაწყვეტილები ინანიებდნენ ცხრაწლიან ცოდვებს, ისინი ყველანაირ ბინძურ ხერხს იყენებენ თავიანთი ბნელი მიზნების მისაღწევად, – არ ერიდებიან არც პროვოკაციას, არც დემაგოგიას, არც საბოტაჟს, რათა ძირი გამოუთხარონ კანონიერ ხელისუფლებას, 21 მარტს კვლავ სიცრუის კორიანტელში გახვიონ მიამიტი ადამიანები და კვლავ ისე არიონ მონასტერი, რომ ძაღლმა პატრონი ველარ იცნოს.

დამნაშავე ნაციონალთაგან გუშინ გავრცელებული ბინძური პროკლამაციის გამო

გუშინ ამ ბოროტი მავნე პარტიის ავად ენაგაკრეფილმა წევრებმა მთელ თბილისს (იქნებ მთელ საქართველოსაც!) მოსდეს ბინძური, პროვოკაციული პროკლამაცია და ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებენ „რუსთავი-2“-სგან იდეოლოგიურად ტვინგამორეცხილი მოსახლეობის იმ ერთ ნაწილს, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებია, რომ ამჟამინდელ სოციალურ შეჭირვებას ფესვები სწორედაც ნეონაციისტურ ნაციონალთა ცხრაწლიან ჯალათურ მმართველობაში უდგას.

ამ მხრივ მრავლისმეტყველია თუნდაც ის ერთი მაგალითი, რომ ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბერში საქართველო ღარიბ-ღატაკთა ქვეყნების სიაში 114-ე ადგილზე იყო. ცხადია, რომ თითქმის ათწლიანი ეს უბედურება ორწელიწადნახევარში ვერ გამოსწორდებოდა.

თუმცა, ეს ამბავი სულაც არ ამართლებს 2012 წლის 1 ოქტომბერს კანონიერად მოსულ ახალ ხელისუფლებას, რომელმაც „სრულიად ევროპის განმაცვიფრებელი დემოკრატიის“ შექმნის საბაბით როგორც ქვეყანაში მძიმე სოციალური პრობლემების გამოსწორება, ისე სამართლიანობის აღდგენა სხვათა და სხვათა მტერ-მოყვრის კარნახით საეჭვოდ გააჭიანურა, რამაც ბოროტმოქმედი ნაციონალები კიდევ უფრო გააუტიფრა, გაათავხედა და სახელმწიფოსთვის ძირის გამოთხრა ცხადად, აშკარად გადააწყვეტინა.

როგორც ჩანს, პოლიტიკურად გადამწყვეტი დრო დადგა, რომელი დროც უკვე აღარ ითმენს – „ოცნება“ ცაიტნოტშია, მომავალ არჩევნებამდე სულ რაღაც წელიწადნახევარი დარჩა.

ან ხელისუფლებაში დაბრუნების ჟინით შეპყრობილ ეშმაკზე ამხედრებული ნაციონალები, ბოლოს და ბოლოს, მთელი სისასტიკით აგებენ პასუხს და ერთხელ და სამუდამოდ ჩამოსცილდებიან პოლიტიკურ ასპარეზს, ან მავნე ლიბერალიზმის კუს ნაბიჯებით მავალი „ოცნება“ ნამდვილად განაცვიფრებს უკვე არა მარტო ევროპას, არამედ, რასაკვირველია, უწინარესად, სასიკეთო ცვლილებების მომლოდინე ქართველობას თავისი განუხორციელებელი თუ თავისი დამასამარებელი დემოკრატიით.

მამუკა არეშიძე:

მარტის აქციის გენერალური რეპეტიცია და მთავრობის ②ცვლილებების დასაწყისი,

ანუ რამდენად საშიშია მომავალი კვირა?

ანტიკურობიდან გადმოსული სიდიადე ⑥

ასეულობით ოსი და აფხაზი თბილისში ⑪ მკურნალობს!

„ჭულიკი“ პოლიტიკოსი

ვინ არის მოლაყბე შალვა ნათელაშვილი? ④

მამუკა ჩარკვიანი:



„ისედაც დავუნერ უფალს საგალობლებს“ ⑦

◎ ექსპერტის აზრი

მარტის აქციის გენერალური რეპეტიცია და მთავრობის ცვლილებების დასაწყისი

ანუ რამდენად საშიშია მომავალი კვირა?

— ნაციონალების მიერ დაანონსებული 21 მარტის აქცია გენერალური რეპეტიცია იქნება, ამას აბსოლუტურად სერიოზულად გეუბნებით, — ამბობს ჩვენთან ექსკლუზიურ ინტერვიუში ექსპერტი მამუკა არეშიძე, რომელიც მოვლენათა არცთუ სასიამოვნო განვითარებას პროგნოზირებს. ის იმ პრობლემებზეც გვიყვება, რაც ქვეყანაში 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეიქმნა.

— ამ არჩევნების შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც გამარჯვებული, ისე დამარცხებული ძალისთვისაც. მაგრამ ნაციონალურმა მოძრაობამ კოჰაბიტაციის ფონზე (რომელიც დასავლეთისგან თავსმოხვეული პროცესი იყო) მოახერხა ძალთა გადაჯგუფება, მობილიზაცია და საკუთარ რიგებში პანიკის ჩაქრობა. ნაციონალების საორგანიზაციო მუშაობის მიზანი იყო სხვადასხვა თანამდებობაზე კადრების შენარჩუნება (ღიად თუ ფარულად), კადრების ჩანერგვა კონკურსების თუ ნათლი-მირონობის მეშვეობით, რაც წარმატებით განხორციელდა.

დღეს ასეთი სურათი გვაქვს: პრინციპში ქვეყანაში სავალალო მდგომარეობაა, ყველა რგოლში, ყველა დონეზე ორხელისუფლებიანობაა. იმის მიუხედავად, რომ ქვეყანას სხვა ტიპის ხელისუფლება ჰყავს, და ცდილობს თავისი დაპირებები განახორციელოს, მას ძალიან უჭირს ამის შესრულება და საერთოდ, მართვა. ეს განპირობებულია სერიოზული არაპროფესიონალიზმით, მეხუთე კოლონის არსებობით და ობიექტური მიზეზებითაც...

— ანუ, ამ ეტაპზე ხელისუფლება უუნაროა?

— მთლად ასე ვერ ვიტყოდი: ხელისუფლება უუნარო რომ იყოს, იგი იმ პროცესებისთვის საფუძვლის ჩაყრას ვერ მოახერხებდა, რაც განახორციელა, მაგალითად, საფლის მეურნეობასა თუ ჯანდაცვაში... ხელისუფლება უნარიანია, ოღონდ — უნიათო. ეს უფრო შესაფერისი სიტყვაა. როცა ადამიანს არ შეუძლია საკუთარი ნამუშევრის წარმოჩენა და საზოგადოებამდე მიტანა.

— ხალხის უკმაყოფილება ზოგადად სამართლიანია?

— რა თქმა უნდა. ხალხის უკმაყოფილება იზრდება, ბევრი დანაპირები ტყუილად გადაიქცა და, რაც მთავარია, სამართლიანობის აღდგენის პროცესს არ დაადგა საშველი. ეს არის მედლის ერთი მხარე. მაგრამ მეორე პრობლემა ისაა, რომ **ვხედავ იმ ორგანიზაციული ძალის არსებობას, რომელიც ხელოვნურად ქმნის საბოტაჟს სახელმწიფოში: ეს იქნება ლარის კურსის ვარდნა, მასშტაბური პროექტების შეჩერება და ტენდერების ხელოვნურად ჩაშლა,** იმისთვის, რომ ინვესტიციები არ შემოვიდეს და სამუშაო ადგილები არ შეიქმნას...

— უფრო კონკრეტულად...

— მაგალითად, ჩემ თვალწინ ჩააგდეს ორი დიდი პროექტი. უფრო სწორად, ჩაგდებული არ არის, მაგრამ „ქაღალდების ბურანშია“ გახვეული და ბიუროკრატიული მექანიზმების გამო გაბურდულია სადღაც ორღობეში. ერთი პროექტი ავტობუსებს შეეხება. პროექტის იდეა ის იყო, რომ საქართველოში დაწყებულიყო ერთ-ერთი წამყვანი ჩინური ბრენდის ავტობუსების მშენებლობა. იდეის ავტორი ქართველი მეწარმე და ბიზნესმენია. მან გადაწყვიტა, შემოეყვანა არა ავტობუსები, არამედ თემქაზე აეშენებინა ქარხანა. ჩინელები შემოიტანდნენ უზარმაზარ ინვესტიციას, რათა აეთვისებინათ არათუ საქართველოს, არამედ მთელი წინა აზიის ბაზარი. 1500 ადამიანი დასაქმდებოდა ქარხანაში... ამ პროექტის ბედი დღემდე გაურკვეველია.

მეორე, ასევე მრავალმილიონიანი პროექტი ელმავლების შესყიდვას ემსახურებოდა. ჩინელების შემოთავაზება ასეთი იყო: თუ ერთ ელმავალს შეიძენდა საქართველო, მას ებმებოდა 100-მილიონიანი პროექტი ელმავლების ქარხნის ასაშენებლად. როგორც გავიგე, ტენდერი ჩინელებმა კი მოიგეს, მაგრამ გამარჯვების მიუხედავად, ელმავლებს რუსეთისგან შეიძენენ...

— და რას ნიშნავს ეს, თქვენ ბიუროკრატიაც ახსენეთ და ორგანიზებული საბოტაჟიც?

— ალბათ, ყველაფერი ერთად. თითქმის ყველა დიდი ტენდერის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა აღმოჩნდეს დესტრუქციული ძალა, რომელიც ჩაშლის...

მინდა, ყურადღება მიაქციოთ ერთ რამეს — დღეს ჩინოვნიკების დიდმა უმრავლესობამ გადასარევი მდგომარეობა შეიქმნა არაფრის კეთებით. მოირგეს ყველა სიკეთე, ფულს არ იპარავენ, აქვთ კარგი ხელფასი, პრემია და მორჩა. გამგებლები თუ სხვა უწყებები ფულს ვერ ითვისებენ, არადა, რა არის აუთვისებელი?!. ეს ამბავი ტოტალურად ხდება. ეს არის სწორედ უნიათობა, არაპროფესიონალიზმი, ან საბოტაჟი.

— ჩვენი საუბრით მივედით იქამდე, რომ ცვლილებები აუცილებელია. თქვენ ამას წინათ ერთ-ერთ სააგენტოს განუცხადეთ, რომ ივანიშვილი ქვეყანაში ცვლილებებს გეგმავს. კონკრეტულად, რა ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით?

— პრემიერ-მინისტრის რწმუნებულებთან და გამგებლებთან შეხვედრა ამ პროცესის ნაწილი იყო. მეგონა, რომ პრემიერი რამდენიმე რწმუნებულს გამოსაცდელ ვადას მისცემდა, ან, უარეს შემთხვევაში, იქვე დაწერინებდა განცხადებას წასვლის შესახებ... ცვლილებებში ვგულისხმობ რამდენიმე მინისტრის გადაყენებასაც.

— მაგალითად?

— თუნდაც ინფრასტრუქტურის მინისტრისა. ვიღაცა იკითხავს, ვინ კითხავს ივანიშვილს მთავრობის გადაყენებასო? **მე ტყუილს არ ვიტყვი და ვაღიარებ, რომ ივანიშვილი სიტუაციას მართავს. მართოს, ეს მე ხელს არ მიშლის** (ამის ბევრი პრეცედენტი არსებობს მსოფლიოში. მათ შორის აშშ-ში, სადაც ქვეყნის პოლიტ-ეკონომიკას ტრანსნაციონალური კომპანიები მართავენ. ბოლოს და ბოლოს, ჩინეთს კულისებიდან მართავდა დენ სიაოპინი). მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს! ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ინფორმაცია, რომელიც მე მივიღე და სადაც საერთოდ მთავრობის გადაყენებაზეა ლაპარაკი, მართალი იყოს. მოვლენათა განვითარების ლოგიკა ამას გვკარნახობს.

— თუმცა იქამდე, იგივე მოთხოვნით 21 მარტის აქცია გაიმართება. რატომ 21 მარტი და არა უფრო გვიან, რაზეა ეს თარიღი გათვლილი?

— კარგი კითხვაა.

ნაციონალებში იყო ლაპარაკი თარიღის გადაწევის თაობაზე, მაგრამ როგორც ამბობენ, მიშამ დაიჟინა. საქმე ისაა, რომ მარტის ბოლო საქართველოში გაზაფხულის დადგომის რეალური პერიოდია...

— რომელიც ასევე სირთულით გამოირჩევა.

— დიახ. ანუ ეს თარიღი გარკვეულწილად სიმბოლურია. თუკი ამ აქციაზე ბევრი ხალხი მივა, აქცია გაგრძელდება და თბილისი აპრილში აქციებით შევა. თუ ხალხი არ მოვიდა, ჩემი სიტყვები გამართლდება და გენერალური რეპეტიცია შედგება. ნაციონალები დანებებას არ აპირებენ. ისინი ძალებს მოსინჯავენ და აპრილსა და მაისში აქციებს დააანონსებენ.

— რა რაოდენობის ხალხი უნდა მოვიდეს, რომ აქცია წარმატებულად მიიჩნიონ?

— ხალხში ვგულისხმობ არა რაოდენობას, არამედ კატეგორიას. თუ მხოლოდ ნაცაქტივი და მხარდამჭერები მივიდნენ, ეს არაფერია. მაგრამ ნაციონალები ცდილობენ, აქციაზე განაწყენებული ადამიანები მიიყვანონ, სოციალური ჯგუფები, იპოთეკით დაზარალებულები, მოვაჭრეები. 15 ნოემბერს ასეთი კატეგორიის ადამიანები არ გამოვიდნენ, მაგრამ ახლა შეიძლება მოვიდნენ.

— კიდევ რომელ პარტიას ელოდებით ამ აქციაზე?

— არც ერთი არ დაუდგება, შეიძლება გამოვიდნენ ნაციონალების სატელიტი პარტიები, რომელთა სახელები არც მახსოვს.

— 21-ში ხელისუფლება დაემხობა, ხოლო 25-ში სააკაშვილი ჩამოდის, ასეთი განცხადებებიც კეთდება. ამბობენ, რომ აქციის დღეს სააკაშვილი სარფს მოადგება და ა. შ.

— ნაციონალების მხარდამჭერებისთვის ეს სტიმულის მომცემია. სარფში არა, მაგრამ სადღაც თურქეთის ტერიტორაიზე, ალბათ, გამოჩნდება ყოფილი პრეზიდენტი.

— უკრაინიდანაც ელოდებიან ყოფილი სპეცნაზელების ჩამოსვლას.

— ამის თაობაზე ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა, შეიძლება აქციაზე გამოჩნდნენ მეომრები უკრაინის სიმბოლიკით, რაც ერთგვარ დატვირთვას მიმცემს აქციას და კარგად იმუშავებს.

— ყველაზე საშინელი პროგნოზი კეთდება მოსალოდნელი სისხლისღვრის შესახებ. რომ შეიძლება ამ მიტინგზე სამეგრელოს ტყეებში გადანახული იარაღიც გამოჩნდეს...

— გარწმუნებთ, რომ სამეგრელოში გადანახული იარაღის შესახებ ჩვენმა მთავრობამ ყველაფერი იცის. რაც შეეხება პროვოკაციებს, შეიძლება ამაზე ნაციონალური მოძრაობა წავიდეს. ისინი ყველაფერს გაკეთებენ მოვლენათა მძიმე განვითარებისთვის.

— შეუძლია თუ არა ხელისუფლებას პრევენცია. თუნდაც პიარის თვალსაზრისით?

— არ ვიცი... ამათ პიარს უკვე აღარაფერი ეშველება.

— და ბოლო კითხვა: ხედავთ თუ არა ბიძინა ივანიშვილის ბრალეულობას მოვლენათა ასეთ განვითარებაში?

— ბრალეულობა არა, მაგრამ ეს არის მისი შეცდომების ბრალი. ადრე ვთქვი და კონფლიქტიც გვქონდა ამის გამო, ივანიშვილი გაურბის პასუხისმგებლობას-მეთქი . მას ეწყინა. საბოლოო ჯამში კი ასე გამოვიდა. ახლა იძულებულია, პასუხისმგებლობა ისევ თავის თავზე აიღოს და ეს კულუარებიდან აკეთოს... როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?! ჩემი აზრით, ის ან უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში, ან შექმნას პროფესიონალთა გუნდი, ანტიკრიზისული ჯგუფი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, საქმეს გადაწყვეტს.

— გმადლობთ, საინტერესო ინტერვიუსთვის.

ესაუბრა
თეა მუსია

◎ საშოვარზე გადახვეწილი ქართველები

საიდან შემოდის ყველაზე მეტი ფული საქართველოში?

მილიონები, რომლითაც ემიგრანტები ქართულ ეკონომიკას „კვებავენ“

ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, 2015 წლის იანვარში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 75.5 მილიონი ამერიკული დოლარი, ანუ 146,5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 23 მლნ აშშ დოლარით (44.6 მლნ ლარით), ანუ 23.3 პროცენტით ნაკლებია 2014 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. მთლიანობაში, 2014 წელს 36 მილიონი ამერიკული დოლარით არის შემცირებული გადმორიცხვების რაოდენობა 2013 წელთან შედარებით.

2010 წლიდან მოყოლებული დღემდე არსებული გზავნილების მოცულობას თუ გადავხედავთ, რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, თურქეთი, უკრაინა, ისრაელი, გერმანია, ესპანეთი და აზერბაიჯანი ლიდერობენ, რაც, სავარაუდოდ, ამ ქვეყნებში ბევრი ქართველი ემიგრანტის ყოფნით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების რაოდენობა შემცირდა, ნაწილი კი გაიზარდა.

ჩვენ წარმოგიდგენთ რამდენიმე ქვეყანას. სრული სიის ნახვა ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა შესაძლებელი:

ყველაზე მეტი თანხა, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, რუსეთიდან ირიცხება, რაც საგრძნობლად აღემატება სხვა ქვეყნებიდან განხორციელებულ გადმორიცხვებს. მიმდინარე წლის იანვარში, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, რუსეთიდან საქართველოში ჩაირიცხა 25 860 500 მლნ დოლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 21 მლნ 4-ით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის დეკემბერთან შედარებით ეს რიცხვი თითქმის ორჯერ არის შემცირებული. გასული წლის ბოლო თვეში, რუსეთიდან საქართველოში ფულადმა გზავნილმა 46 928 700 დოლარი შეადგინა, რაც 21 068 200 დოლარით მეტია 2015 წლის პირველ თვესთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის იანვარში გადმორიცხული თანხა 37 მლნ 4-ით ნაკლები იყო 2013 წლის დეკემბერში გადმორიცხულ თანხასთან შედარებით. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დაახლოებით იგივე სხვაობაა, რაც 2015 წლის იანვარსა და 2014 წლის დეკემბერს შორის. მთლიანობაში რუსეთიდან 2014 წელს გადმორიცხული თანხები დაახლოებით, 90 მლნ დოლარით ნაკლებია 2013 წელს გადმორიცხულ თანხებთან შედარებით. სტატისტიკური მონაცემებით, 2014 წელს იანვრიდან ივლისის ჩათვლით გზავნილების მოცულობა იზრდებოდა, თუმცა, აგვისტოდან უკვე კლებას იწყებს.

2013 წელთან შედარებით 2014 წელს თითქმის 22 მილიონ დოლარზე მეტით არის გაზრდილი საბერძნეთიდან გადმორიცხვების რაოდენობა. საბერძნეთიდან, სადაც ასევე დიდია ემიგრანტების რაოდენობა, გასულ წელს 204 781 900 ამერიკული დოლარი გადმორიცხეს, ხოლო 2013 წელს — 18 25 87 200. მიმდინარე წლის იანვარში კი გადმორიცხვების რაოდენობამ 12 204 800 აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2 მილიონ ამერიკული დოლარი ნაკლებია.

იტალიიდან 2014 წელს გზავნილების რაოდენობამ 121 469 700 დოლარი შეადგინა, რაც 2013 წელთან შედარებით 11 მლნ 4-ით მეტია.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან კი გასულ წელს საქართველოში 82 062 900 დოლარი გადმოირიცხა.

თურქეთიდან 2014 წელს საქართველოში 64 336 100 დოლარი გადმორიცხეს.

უკრაინიდან 2015 წლის იანვარში 2 მილიონი ამერიკული დოლარი გადმოირიცხა, ხოლო საქართველოდან უკრაინაში ამ პერიოდში 1,5 მლნ დოლარზე მეტი გადაირიცხა.

როგორც ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლები აცხადებენ, გზავნილების რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაში ქართველი ემიგრანტების რაოდენობაზე. სწორედ ამას ადასტურებს დიასპორის არაოფიციალური სტატისტიკაც, რომელიც დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტროს აპარატმა მოგვაწოდა. ამ ჩამონათვლის მიხედვით, სწორედ იმ ქვეყნებშია ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტი, საიდანაც გზავნილები მეტია. მონაცემები ასეთია: **რუსეთის ფედერაცია: 800 000-მდე ქართველი ემიგრანტი, საიდანაც, 2009 წლიდან დღემდე, 285 915-მა ადამიანმა მიიღო მოქალაქეობა.**

საბერძნეთი: დაახლოებით 250 000 ემიგრანტი, მათ შორის 100 000-მდე ეთნიკური ბერძენი.

იტალია: 20 000 ემიგრანტი.

აშშ: 80 000 ემიგრანტი.

თურქეთი: 100 000 შრომითი მიგრანტი.

ლექსო ნაბახტეველი

◎ გეოპოლიტიკის ქვეტექსტები

მატარებელი „მოსკოვი-ერევანი“ გავა თბილისიდან?

თუ რუსეთი რკინიგზის თემას სერიოზულად მოკიდებს ხელს, ზეწოლა გაიზრდება

სერგეი ლავროვის განცხადებით, რუსეთი მზად არის, მხარი დაუჭიროს მოსკოვი-სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას. რუსი დიპლომატი ამბობს, რომ რუსული მხარე მზად არის ასეთი კონსულტაციებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის რკინიგზა სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების შესაბამისად, აფხაზური რკინიგზის მონაკვეთის ექსპლოატაციაში მონაწილეობს. ლავროვი არ მალავს, რომ სარკინიგზო მიმოსვლით დაინტერესებულია სომხეთი.

რა საფრთხეებს შეიცავს მოსკოვი-სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა და რა სარგებელს მიიღებს საქართველო, თუ რუსეთი დაითანხმებს საქართველოს მთავრობას რკინიგზის ამ მონაკვეთის გახსნაზე? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge საერთაშორისო საკითხებში ექსპერტს ვანო მაჭავარიანს ესაუბრა.

— სერგეი ლავროვის განცხადება, რომ რუსეთი მზად არის, მხარი დაუჭიროს მოსკოვი-სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, ადასტურებს, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილება მალე მიიღება?

— კარასინი და რუსული მხარე საუბრობს ამ თემაზე, როგორც განხილვად თემაზე, მაგრამ ქართული მხარე ამ თემაზე საუბარს უარყოფს, რაც საკმაოდ ბუნდოვან სიტუაციას ქმნის.

— ზურაბ ირაკლის ძე აბაშიძის კომენტარი არ ეხმარება სიცხადის შემოტანას?

— არა, რა თქმა უნდა. ცხადია, ლავროვი ჰაერიდან არ იღებს სიტყვებს. ის არის ძალიან სერიოზული პოლიტიკოსი და ცხადია, რომ ეს არაა შემთხვევითი თემა. მაგრამ, აქ მნიშვნელოვანია ერთი რამ — თუ რუსეთი ამას სერიოზულად მოკიდებს ხელს, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობაზე და კონკრეტულ პირებზე, რომლებსაც უშუალოდ აბარიათ ქართულ-რუსული ურთიერთობა, ზეწოლა გაიზრდება როგორც რუსული, ასევე სომხური მხრიდან.

— რა ფორმით?

— ინტენსიური ხასიათი მიეცემა ამ საუბრებს. საუბრები იქნება კონკრეტულ პირობებზე და მოთხოვნებზე. სომხეთი არ მალავს, რომ მას ყველაზე მეტად აინტერესებს ეს თემა, მაგრამ ჩემი აზრით, სომხეთი ახმოვანებს რუსეთის სურვილს, რომ თავის თავზე აიღოს ის საგარეო პოლიტიკური ამოცანა, რომელიც რუსეთს აქვს. ანუ, აფხაზეთის მონაკვეთზე გაიხსნას რუსეთისა და სომხეთის დამაკავშირებელი რკინიგზა, რომელიც საქართველოზე გადის. ფაქტია, რომ აფხაზური მხარე ამას უბრალოდ ვერც შეეწინააღმდეგება და მათ განსაკუთრებულ თანხმობასაც მნიშვნელობა არა აქვს.

თუ საუბარია იმ ინტერესებზე, რომელიც შეეხება რუსეთ-სომხეთის დაკავშირებას, იქნება ეს ეკონომიკური, ენერგეტიკული და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სამხედრო თავლსაზრისით (რუსეთს უაზარმაზარი ბაზა აქვს სომხეთში, რომელიც საჭიროებს შემდგომ განახლებას). ეს ასევე მნიშვნელოვანი თემაა სომხეთისთვისაც. ამ პირობებში კი, ქართულ მხარეს უნდა ჰქონდეს კონკრეტული საერთაშორისო მხარდაჭერა.

— ლავროვის განცხადებით, მთავარი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ პროექტის უშუალო მონაწილეებმა, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთმა და საქართველომ, თუმცა, აქვე ამბობს, რომ გასაგები მიზეზების გამო, ძალიან არის დაინტერესებული სომხეთი...

— როგორც კი რუსეთი დაინახავს საქართველოსა და ევროპას, განსაკუთრებით საქართველო-აშშ-ს შორის ურთიერთობაში არის სისუსტე, ან კომუნიკაციის ნაკლებობა, ისარგებლებს ამ მომენტით და ეცდება ქართულ მხარეს ელაპარაკოს იმ რეალობიდან გამომდინარე, რომელიც მან თავისი თვალსაზრისით ჩამოაყალიბა საქართველოში - ორი სახელმწიფო — აფხაზეთისა და ცხინვალის სახით. ამაზე საუბრობს ლავროვი და პირდაპირ უსვამს ხაზს, რომ ეს არის ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის მოსალაპარაკებელი თემა, რომელშიც რუსეთი და სომხეთი დაინტერესებულნი არიან.

— არის ინფორმაცია, რომ კრემლმა საქართველოს ულტიმატუმი წაუყენა, თითქოს, 2011 წლის ხელშეკრულების შესრულების სანაცვლოდ, სარკინიგზო მარშრუტი მოსკოვი-სოხუმი-თბილისი-ერევანი გაიხსნას. როდესაც ასეთ ულტიმატუმზეა საუბარი, რამდენად შესაძლებელი იქნება, რომ ხელისუფლებამ მიიღოს შეთანხმება მოსკოვი-სოხუმი-ფოთის მარშრუტის აღდგენაზე?

— ეს არის ორი ძალიან მნიშვნელოვანი თემა, რომელიც ზუსტად საჭიროებს ძალიან სკულპულოზურ ანალიზს და ელემენტარულად, დათვლას. ეკონომიკურად, ფინანსურად, გეოპოლიტიკურად თუ უსაფრთხოების ჭრილში, რა უფრო მნიშვნელოვანია ამ კონკრეტულ ეტაპზე, გახსნას სარკინიგზო მიმოსვლა რუსეთის თუ სომხეთის ზეწოლიდან გამომდინარე, თუ სხვა ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც შესაძლოა, მთავრობამ ჩათვალოს, რომ მნიშვნელოვანია. როდესაც საუბარია ულტიმატუმზე, ჩვენ გვქონდა და დღესაც გვაქვს იმის რესურსი, რომ ეს ზეწოლა, რომელიც მომდინარეობს რუსეთიდან თუ სომხეთიდან, გავანეიტრალოთ.

— როდესაც საუბარია სომხური ინტერესების გატარებაზე და ამაზე ღიად საუბრობს რუსეთი, ამ კონტექსტში რამდენად უნდა გაითვალისწინოს საქართველომ პარტნიორი აზერბაიჯანის ინტერესები?

— მოლაპარაკებების უმნიშვნელოვანესი ნაწილი სწორედ დაკავშირებული უნდა იყოს იმ გეოპოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სატრანზიტო ენერგეტიკულ ფუნქციასთან, რომელიც საქართველოს გააჩნია და რომელიც არის მისი დამოუკიდებლობის დაცულობის ერთ-ერთი მთავარი გარანტი. პირველ რიგში, უნდა გამოვიდეთ იმ საერთო ინტერესებიდან, რომელიც ჩამოყალიბდა აზერბაიჯანთან. ამას სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობა აქვს. დანარჩენი, უბრალოდ, ეს არის სწორედ ის პროცესი, რომელიც რუსეთს სურს, რომ დაძრას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

— ბოლოს და ბოლოს ეს რკინიგზა საფრთხის შემცველია თუ არა?

— საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობამ მაქსიმალურად უნდა აირიდოს თავიდან ის ზეწოლა, რომელიც მოდის რუსეთიდან თუ სომხეთიდან. სხვა შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს ძალიან რთული სიტუაცია, რომელიც ამ ეტაპზე საქართველოს ინტერესებს არ ემსახურება.

თამთა ქარჩავა

◎ ერთი ტელეგადაცემის ექო

მომეწონეთ, ქალბატონო მანანა!

ღია კომპლიმენტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ მანანა კობახიძეს

როცა ეს სათაური დავწერე, ბუნებრივია, ვიფიქრე, რომ მოყვითალო ფერი დაჰკრავდა.

მაინც არ წავშალე, რადგან ყველაზე ზუსტად გამოხატავს იმ განცდას, გასულ სამშაბათს „რუსთავ -2“-ის ეთერით თქვენმა ჩართვამ რომ გამიჩინა.

ამ არხს „ცრუსთავი-2“ სხვებმა უწოდეს, მე კონკრეტულად **გიორგი გაბუნიას** გადაცემის „ნათლია“ ვარ — **„ნაცრჩევანი“**, დავარქვი, რაც ძალიან ბევრს მოეწონა.

ბოლო დროს ხშირად მიწევს კოლეგების გაკრიტიკება, რაც სასიამოვნო სულაც არ არის, მაგრამ სამწუხარო აუცილებლობაა.

თუმცა, გაბუნიას კოლეგად ორი ფრიად სერიოზული მიზეზის გამო ვერ მივიჩნევ.

პირველი: პროფესიით ჟურნალისტი არ არის;

მეორე და მთავარი: ის, რასაც გაბუნია აკეთებს, ჟურნალისტიკად ვერ ჩაითვლება.

„აკეთებს!“ — ეს, რა თქმა უნდა, ცუდად ნათქვამია, მაგრამ „რუსთავი-2“ -ს კარგად ესადაგება. გავიხსენოთ მათი სლოგანი, სულ ახლო წარსულში რომ ჰქონდათ: **„ახალი ამბები კეთდება აქ.“**

ნიკა გვარამიას აღმოაჩნდა იმდენი ჭკუა, რომ თვითლუსტრაციისა და აღიარების ეს იშვიათი ნიმუში წაეშალა, მაგრამ „კეთება“ კვლავაც გრძელდება.

და „ნაცრჩევანიც“ კეთდება იქ!

როგორ კეთდება? — საკითხავი, აი, ეს არის!

კეთდება ზუსტად ისე, როგორც მიშას პრეზიდენტობისას ახალი ამბები, ხოლო ნიკას პროკურორობისას დოკუმენტური ფილმები კეთდებოდა.

იმ დღეს თქვენ ეს ძალიან კარგად გამოააშკარავეთ, ქალბატონო მანანა, როცა აღნიშნეთ, რომ პარტიულ ტელევიზიაში იმყოფებოდით.

კომუნისტების დროს ჟურნალისტიკის პრინციპებსა და ფუნქციებს გვასწავლიდნენ.

მთავარი, რა თქმა უნდა, პარტიულობის პრინციპი იყო.

ალბათ,ახალგაზრდულმა ასაკმა გამაბედინა და ერთ-ერთ შეკრებაზე ვთქვი (შემდეგ დავწერე კიდეც და ჩემს პირველ წიგნში შევიდა), რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში შეუძლებელია, ჟურნალისტიკა რომელიმე პარტიის ინტერესებს გამოხატავდეს!

ხელისუფლების, ბიზნესჯგუფის ინტერესებს კიდევ ჰო, მაგრამ პარტიის?!

პარტიული ტელევიზია! — ოცდამეერთე საუკუნეში ეს სასიკვდილო განაჩენია!

ამ განაჩენს გაბუნიამ ვერაფერი დაუპირისპირა, მხოლოდ სახეზე წამოწითლდა, რამაც გულწრფელად გამაკვირვა - აქამდე ღრმად მჯეროდა, რომ თუ ადამიანი გარკვეულ სიტუაციაში გამოჭერისას წითლდებოდა, მაშასადამე, სირცხვილის გრძნობა ჰქონდა შემორჩენილი. რა საოცოდავად გამოიყურებოდა იგი, როცა აღმოჩნდა, რომ საკუთარი მამა-მარჩენალის ინტერვიუც კი არ ჰქონდა წაკითხული. ესენი ხომ არაფერს კითხულობენ. ოდესმე გინახავთ, ან გაბუნიას, ან კვესიტაძეს, ან გრიგოლიას, გნებავთ სხვებს(პოლიტიკურ თოქშოუთა წამყვანებს), ვინმეს ციტატა დაემოწმებინოთ — ან ავრელიუსი, ან მაკიაველი, ან გასეტი... ხომ ხედავთ, თვით გვარამიასაც არ კითხულობენ!

სხვათა შორის, სახე იმ დღეს **გოკა გაბაშვილსაც** აშკარად უხურდა, მართალია, მასთან დებატები არ ისურვეთ და სწორადაც მოიქეცით, მაგრამ (სიყვითლეს აქაც არ შევუშინდები) ისიც კარგად მიაჩმორეთ.

მართლაც შესაშური იყო იმ დღეს თქვენი პოლემიკური ოსტატობა, რომელიც სიმკაცრესაც გულისხმობდა და იშვიათ ტაქტსაც, ფაქტებით გამყარებულ ლოგიკურ მსჯელობასაც, მოკლედ, ღირსეულად გეჭირათ თავი. როცა წამოგცდათ და ნაც(იონალ)თა მხარდამჭერები მასად მოიხსენიეთ, ამისთვისაც კი ბოდიში მოიხადეთ და მათ „საზოგადოების გარკვეული ნაწილი“ უწოდეთ.

აი, ასე უნდა გამოდიოდეთ და იგერიებდეთ ნაც(იონალ)თა დემაგოგიურ გამოხტომებს, რასაც თქვენი თანაგუნდელები, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ახერხებენ.

ამიტომაც გუნდის გადახალისებაზე უნდა იზრუნოთ. პარლამენტარებიც უფრო ფრთხილად უნდა შეარჩიოთ. მიმოიხედეთ ირგვლივ და გამოსცდით შევარდნაძის კადრებს. მაინცდამაინც ტელეყუთში თავგამოყოფილებშიც ნუ დაიწყებთ ძებნას — ღირსეული პროფესიონალები ჩრდილში არიან და საქმეს უხმაუროდ აკეთებენ.

საქმეს და არა ახალ ამბებს.

ახალ ამბებს ვინც აკეთებს, თქვენ იმ დღეს დიდებულად ამხილეთ.

ასე გააგრძელეთ...

იმ დღეს კი გაბუნიასა და გაბაშვილს ნამდვილად გაუფუჭეთ საოცდაერთმარტო გუნება, ხოლო ის, რომ „საზოგადოების გარკვეული ნაწილი“ მართლა ნაწილია და არა მასა, ეს სწორედ ოცდაერთ მარტს გამოჩნდება.

თავმოყვარე ადამიანი რომ ნაც(იონალ)ების დაძახილს ყურს არ მიუგდებს, ეს უდავოა...

გულწრფელი პატივისცემით,
იოსებ ჟუმბურიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ისლანდია ევროკავშირში გაწევრებას აღარ აპირებს

„დოიჩე ველეს“ ცნობით, ამის შესახებ ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გუნარ ბრაგი სვენსონმა განაცხადა. „ეს თემა დახურულია“, — აღნიშნა მან.

„მთავრობის გადაწყვეტილებით, ისლანდია აღარ არის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა“, — წერია ისლანდიის საგარეო უწყების განცხადებაში. საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნის მთავრობამ რამდნიმე დღის წინ მიიღო, რაც ისლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის — ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრ ედგარ რინკევიჩს ოფიციალური წერილით აცნობა.

ისლანდიამ ევროკავშირში გაწევრების შესახებ მოლაპარაკებები 2009 წელს დაიწყო. 2013 წელს ამ საკითხზე მუშაობა შეწყდა. სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, ისლანდიელების უმრავლესობა ევროკავშირში გაწევრების წინააღმდეგია.

ინტერპრესი

„ჟულიკი“ პოლიტიკოსი

„ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილი აქცია არის იგივე, რომ შალვა ნათელაშვილმა დაგეგმოს რაღაცა. ერთი-ერთში ჰგვანან ერთმანეთს. ყველამ კარგად იცის, რომ, რაც არის ნაციონალური მოძრაობა, იგივეა ნათელაშვილი. ერთ დონეზე არიან დასულები და ერთი სტილი აქვთ. როგორ ფიქრობთ, სერიოზულად უნდა აღვიქვათ ნათელაშვილის განცხადებები?!“ — ეს სიტყვები ეკუთვნის პრემიერ ღარიბაშვილს, რომელიც მან რამდენიმე თვის წინათ, 15 ნოემბერს დაგეგმილ აქციამდე გააკეთა.

ამ შემთხვევაში, თავი დავანებოთ ნაციონალებს და ყურადღება მეორე პერსონაჟზე — შალა ნათელაშვილზე გავამახვილოთ. ბოლოს და ბოლოს, მართლაც და ვინ არის პოლიტიკოსი, რომელიც თითქმის ოცი წელია, საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურობს, თავისებურ ნიშს იჭერს, ამომრჩეველიც ასე თუ ისე ჰყავს, მაგრამ რატომღაც მისი „დაუნ ვი დიკტეიტე“ საზოგადოებისთვის თუ მედიისთვის უფრო „ღირებული“ მასალაა, ვიდრე თავად შალვა ნათელაშვილის მიერ „გაკეთებული“ პოლიტიკა.

ვინ არის შალვა ნათელაშვილი?

„ვიკიპედია“ მასზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის. სულ რაღაც ათწლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს მთაწმინდის რაიონის პროკურატურაში, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ. 1992 წლიდან 1995 წლამდე პარლამენტის წევრად აირჩიეს. 1995 წელს აყალიბებს ლეიბორისტულ (შრომის) პარტიას და სამუდამოდ პოლიტიკაში რჩება...

ვინ არის შალვა ნათელაშვილი?

რაც შეეხება მის რეიტინგს: თუ მას დავუჯერებთ, 1998 წელს სწორედ ედუარდ შევარდნაძის პროტეჟეებმა — მიხეილ სააკაშვილმა და ზურაბ ჟვანიამ გაუყალბეს არჩევნები და პარლამენტს გარეთ დატოვეს. თუმცა, 2002 წლის საკრებულოს არჩევნებში უმრავლესობა მიიღო, მაგრამ მისმა მოულოდნელმა განცხადებამ საზოგადოება შოკში ჩააგდო. კულისებსმიღმა მიღწეული გარიგებით, საკრებულოს თავმჯდომარეობა მიხეილ სააკაშვილს დაუთმო...

სწორედ აქედან იწყება არაორდინარული პოლიტიკოსის კიდევ უფრო არაორდინარული გზა — აღსავსე ხშირად მავნე გადაწყვეტილებებით როგორც ქვეყნისთვის, ისე საკუთარი პარტიისთვისაც. იტყოდა: „მე ვერავის ვენდობი, საკუთარი თავის გარდაო“ და ისეთ დროს და ისეთ მომენტში გაერიდებოდა ხოლმე ერთობას, როცა მისით მოხიბლული ამომრჩევლის თუნდაც ერთ ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა... 2007 წლის სექტემბერში ნათელაშვილის პარტია ცხრა ოპოზიციურ ჯგუფთან ერთად ანტისამთავრობო დემონსტრაციებს ატარებდა. 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ მას შპიონაჟსა და მთავრობის დამხობის მოწყობის მცდელობის გამო ბრალდებები წაუყენეს, მაგრამ მომდევნო დღეებში ბრალდება შერბილდა და პროკურატურაში მხოლოდ მოწმის სახით დაიბარეს. შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტო კამპანიაში ჩაება და მაშინ, როცა მთელი ოპოზიციური სპექტრი ლევან გაჩეჩილაძის გარშემო დაირაზმა, მან მარტო განაგრძო პოსტისთვის ბრძოლა. სწორედ მაშინ გახდა ერთმნიშვნელოვნად ცხადი, რომ ლეიბორისტთა ლიდერს იმაზე მეტი ამბიცია ჰქონდა, ვიდრე ერთობას და აქედან გამომდინარე, ხალხის კეთილდღეობას სჭირდებოდა.

სულ რაღაც 6,49 პროცენტი იყო 2008 წლის არჩევნებზე ნათელაშვილის მონაპოვარი, იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ მიმზიდველი პროგრამა ჰქონდა. მისი საარჩევნო კამპანია ეყრდნობოდა ძლიერ სოციალისტურ მიმართულებებს: უფასო ჯანდაცვას, უფასო განათლებას, სოციალურ მომსახურებას. იგი ამომრჩეველს შეჰპირდა უფასო გაზსა და ელექტროენერგიას, საგადასახადო შეღავათებს, საბჭოთა კავშირის დროს დაკარგული საბანკო ანაბრების თანხების დაბრუნებას. ლეიბორისტები დღემდე მოითხოვენ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების ნაციონალიზაციას. ელექტორატიც დღემდე ჰყავთ, მაგრამ ოდენობა არჩევნებიდან არჩევნებამდე იკლებს. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში 6 პროცენტი შეინარჩუნა, მაგრამ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებმა ნათელაშვილის პარტია პირწმინდად „გააშიშვლა“. ამომრჩეველთა მხოლოდ 1,24 პროცენტი და ვერც ერთი მანდატი. საპრეზიდენტო არჩევნებზე კი 2,88 პროცენტით მეოთხე ადგილზე გავიდა... „ვიკიპედია“ გვამცნობს, რომ ნათელაშვილმა 2014 წელს პარტია დატოვა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს ბოლო ფრაზა ინტერნეტ სივრციდან ამოსაღებია...

ვინ არის მოლაყბე შალვა ნათელაშვილი?

შალვა ნათელაშვილს მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა ახალი სიცოცხლე შთაჰბერა და როგორც ყველაზე მწვავე, შეურიგებელ და დაუნდობელ ოპონენტს არსებული ხელისუფლებისა, განსაკუთრებით სწყალობენ სატელევიზიო სივრცეში. „მდიდარს წავართმევთ, ღარიბს დავუბრუნებთ — ვიწყებთ!“ ლეიბორისტების წინასაარჩევნო სლოგანი ერთგვარი ღიმილისმომგვრელი ჰიტი გახდა. ნათელაშვილი რობინ ჰუდად ვერ გადაიქცა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილზე წარმოდგენას ჯიუტად არ იცვლის. მუდამ მილიარდერის ჯიბეში იქექება და მილიონებს უთვლის, მოუწოდებს, რაც აბადია, უშურველად გასცეს ქართველ ხალხზე. მაგრამ კარგად თუ დავფიქრდებით, წარსულს თვალს გადავავლებთ და გავიხსენებთ, ამ ქართველ ხალხს ნათელაშვილისგან არც ერთი თეთრი არ ახსოვს, არც ერთი ქველმოქმედება, გარდა დაპირებებისა, გარდა ბიუჯეტიდან მითვისებული მილიონობით ლარისა, გარდა იმისა, რომ 2008 წელს ერთიანი ოპოზიციის მანდატით შესულმა ლეიბორისტებმა, უარი არ უთხრეს გაყალბებულ არჩევნებს, ვერ შეელივნენ დეპუტატის მანდატსა და იმუნიტეტს და კუთვნილ გასამრჯელოსაც ისე ურცხვად იღებდნენ ბანკომატიდან, რომ არც ერთხელ სინდისს არ შეუწუხებიათ... ნეტა რისთვის იღებდნენ ხელფასებს?! ან იმ ხელფასიდან რამდენიმე პროცენტი თუ ერგებოდათ ღარიბ-ღატაკებს?! — საინტერესოა.

დღეს შალვა ნათელაშვილი მილიონერი პარლამენტარების თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვს. პოლიტიკოსი, რომელსაც ორი ათეული წელიწადია, ფაქტობრივად არ უმუშავია, და რომელიც იმდენს ახერხებს, რომ მისი ხელფასი ყოველთვის ხალხის ჯიბეს არის მიბმული, ფულს მთელი ცხოვრება „ლაყბობისთვის“ იღებს. ესეც ტალანტია!

ასეთი პოლიტიკოსი ამაყად უპირისპირდება ბიძინა ივანიშვილს და მოუწოდებს: „საკუთარი 14(!) მილიარდიდან, აგრეთვე თანაინვესტირების ფონდში მის მიერ მოზიდული 12(!)მილიარდიდან გამოყოს ერთი მილიარდი ლარი, რაც გადაარჩენს ქვეყანას და ივანიშვილს ოდნავ შეუმსუბუქებს იმ ცოდვებს, რაც მას ერის და ბერის წინაშე კისერზე ადევს“.

ივანიშვილის ცოდვების განმკითხავად ჩვენ ვერ გამოვდგებით, მაგრამ „სამების“ ამშენებელს, ჩვენ რომ ცოდვებზე ველაპარაკოთ, ალბათ, ძალიან უხერხულია!!!

შალვა ნათელაშვილი შეურიგებელია ლევან ვასაძის მიმართაც. მას არ სჯერა ამ კაცის პატრიოტული ზრახვებისა: **„ლევან ვასაძე არის ძველი სოროსელი. ის გახლავთ შევარდნაძის ფონდის ხელმძღვანელი 90-იან წლებში. როდესაც მე „მხედრიონს“ ვებრძოდი და იარაღის ტარების აკრძალვის კანონს ვიღებდი პარლამენტში, ლევან ვასაძე რამდენიმე ღამე ჯაბა იოსელიანთან იჯდა. ეს არის ჩვეულებრივი „ჟულიკი“ ქართველი ბიზნესმენი, რომელმაც იშოვა ფული, მოუშვა წვერი, გადაიწია თმები, ჩაიცვა ჩოხა, დადის ეკლესიაში და ცდილობს, რაღაც ნიში დაიჭიროს“...**

მე თავად ძალიან გამიჭირდება, წერილში ვთქვა, რა არის შალვა ნათელაშვილის ნიში, თუმცა, პოლიტიკური „ჟულიკი“, ალბათ, ყველაზე მეტად მოუხდებოდა. ის ხშირად გულწრფელია, მაგრამ არა ტალტიანი, დიპლომატი, არასოდეს სწყალობს პოლიტიკური ალღო და მეტიც, არასოდეს არაფერი არ უკეთებია ხალხისთვის, გულის მოფხანვის გარდა. მაგრამ ლიდერობის ამბიციის მქონე ადამიანს იმაზე ბევრად მეტი მოეთხოვება, ვიდრე ფრთიანი გამონათქვამებია. ამ კუთხით მას, მართლაც რომ, კონკურენტი არ ჰყავს.

ებრძოდა შევარდნაძის ხელისუფლებას, ებრძოდა სააკაშვილის ხელისუფლებას, ებრძვის ივანიშვილის („ოცნების“) ხელისუფლებას, ოღონდ, მხოლოდ ხატოვნად... ცარიელი სიტყვებით...

ამ პოლიტიკოსის „სხარტულები“ ყოველთვის კარგ ხასიათზე აყენებდა საზოგადოებას, პოლიტიკოსებს მეტსახელებიც მოუგონა: მაგალითად, აჭარელი ლუი დე ფიუნესი — კობა ხაბაზი, დაღლილი ვირი — ზურაბ ნოღაიდელი და ა. შ.

მისი ფრაზებია: „ჩვენმა მთავრობამ არ იცის, რომ დედამიწა ბრუნავს, თორემ კატაობაში ფულს გადაგვახდევინებდნენ“; „თბილისში ხუთი თვითმფრინავი რომ დასვა ერთდროულად, ხუთივედან სააკაშვილი ჩამოვა“; „რას შევარდა პარლამენტში აბორიგენთა ტომის ბელადივით?!“, „ჰიტლერს რომ „რუსთავი-2“ ჰქონოდა, დღემდე არ ეცოდინებოდა, რომ ომი წააგო“.

და ბოლოს: „ახლა თქვენ გჯერათ, რომ დუშეთში მოიგო ვალოდია ჯინჭარაძემ, რადიატორთან რომ ზის, და შალვა ნათელაშვილმა წააგო?“...

გვჯერა, რატომაც, არა?!

* * *

მოდით, გადავხედოთ შალვა ნათელაშვილის ქონებრივ დეკლარაციას, რომელიც მან 2012 წელს შეავსო, როგორც პარლამენტის წევრმა. მის საკუთრებაშია ბინა თბილისში, მიროტაძის ქუჩაზე, რომლის ფართობი 136.კვ.მ.ს შეადგენს. მასვე ეკუთვნის 450 კვ.მ. აგარაკი და 8500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ბაზალეთში.ფლობს საოფისე ფართს ჯავახიშვილის ქუჩაზე. დეკლარაციაში მითითებული მანქანა 31 ათას დოლარად გაყიდა. მართალია, დეკლარაციის შევსების მომენტში 500 ლარი ერიცხებოდა „თი-ბი-სი“ ბანკში, მაგრამ მისი მეუღლის საბანკო ანგარიში 98 ათას ევროს შეადგენდა. შალვა ნათელაშვილმა, როგორც პარლამენტის წევრმა, ერთი წლის განმავლობაში ხელფასის სახით 67 ათას 110 ლარი მიიღო ისე, რომ არც ერთი დღე პარლამენტში არ ყოფილა...

თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

ვიზიტად სომხეთში რელიგიურ თემებზე ურთიერთთანამშრომლობისათვის

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამუშაო ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში დასრულდა. დელეგაციის წევრები შეხვდნენ ყოველთა სომეხთა კათალიკოსს გარეგინ მეორეს, სომხეთის მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მინისტრ დავით ჰარუტუმიანს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს მანუკ მკრტიჩიანს, კულტურის მინისტრის მოადგილეს არევ სამუელიანს, ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელებსა და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს სომხეთის რესპუბლიკაში თენგიზ შარმანაშვილს. დელეგაციას, რომელსაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე ხელმძღვანელობდა,უმასპინძლა სომხეთის მთავრობასთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიის განყოფილებამ ვარდან ასცატრიანის ხელმძღვანელობით.

ერევანში გამართულ შეხვედრებზე იმსჯელეს ორი მეზობელი ქვეყნის ერთობლივ თანამშრომლობაზე ქართულ-სომხური ეკლესიების აღდგენა-რესტავრაციის საქმეში, ერთმანეთს გაუზიარეს რელიგიური განათლების სფეროში არსებული გამოცდილება, საქართველოს დელეგაციის წევრებმა ისაუბრეს მრავალეთნიკურ ქვეყნებში რელიგიური განათლების აქტუალობასა და ამ მიმართებით სააგენტოს ამოცანებზე.

დელეგაციის წევრები გაეცნენ სომხეთის მთავრობასთან არსებული რელიგიის განყოფილების საქმიანობას, იმ სამართლებრივ ნორმებსა და მექანიზმებს, რომლითაც რეგისტრირდება რელიგიური ორგანიზაციები და რეგულირდება რელიგიის სფეროში არსებული პრობლემები. მასპინძლები შეეხნენ, აგრეთვე, სომხეთში არსებულ რელიგიურ სექტებთან მუშაობის საკითხებს და დაინტერესდნენ ამ მხრივ საქართველოში არსებული გამოცდილებით.

საქართველოს საელჩოში გამართულ შეხვედრაზე ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებმა და ელჩმა თენგიზ შარმანაშვილმა სააგენტოს თავმჯდომარეს ზაზა ვაშაყმაძეს დახმარება სთხოვეს ერევანში ქართული ეკლესიის მშენებლობისა და ქართული ეკლესიისთვის სტატუსის მინიჭების საკითხის მოგვარებაში. ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე სააგენტოს თავმჯდომარემ არაერთხელ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ არსებობს გადაუწყვეტელი საკითხები, და რომ კეთილი ნებითა და ურთიერთშეთანხმებით ყველა პრობლემის მოგვარებაა შესაძლებელი.

ინტერპრესი

მაგალითი, გენდერული კვოტები და ეკონომიკური აღმაფრენა,

გასული კვირაც საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. საზოგადოება, როგორც ყოველთვის, ღელავდა, შფოთავდა და ფუთფუთებდა ისეთი მნიშვნელოვანი თემების გარშემო, როგორიცაა თერჯოლის გამგებლის ავტომობილი, პარლამენტში მანდილოსნების რაოდენობის განსაზღვრა, „რუსთავი-2“-ში გასული სიუჟეტები და, რაღა თქმა უნდა, დაანონსებული აქცია. ბუნებრივია, ყველა მათგანს ქართულ მედიასა და საზოგადოებაში საკმაოდ მწვავე გამოხმაურებები მოჰყვა. ზოგი ცინიკური, ზოგი შეშფოთებული, ზოგიც კი „გაპრავების“ სტილში.

დავიწყებ იმით, რომ 13 მარტს, პარასკევს, საქართველოს პარლამენტში 12 საათზე ჩანიშნული სესია არ ჩატარდა. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა კომენტარი გაკეთდა.

ნაციონალური მოძრაობის წევრები აცხადებდნენ, რომ მათ გული სწყდებათ, რომ სესიაზე, სადაც ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბარი სურდათ, „ქართული ოცნების“ წევრები არ მოდიან.

„ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ აღელვებთ მათ ქვეყნის ბედი. ხელისუფლებას, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს აღებული ქვეყნის მოსახლეობაზე, პრობლემებზე საუბარი არ სურს“, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ქვეყნის მოსახლეობის ბედი და პრობლემები თუ როგორ აღელვებს „ნაციონალურ მოძრაობას“, ყველამ კარგად ვიცით და ამიტომ ამაზე დროს აღარ დავხარჯავ. „უსაგნო ხმაური“ უწოდა რიგგარეშე სესიის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, რომელმაც თავისუფალ-დემოკრატ ნინო გოგუაძის შემდეგ, თვით ნუგზარ წიკლაურის „რისხვა“ დაიმსახურა. **„ეს სხდომა არის პრეზიდენტის მიერ მოწვეული და ეხება ქვეყანაში ყველაზე უმნიშვნელოვანეს საკითხს — ეკონომიკურ მდგომარეობას და სავალუტო კრიზისს. დარჩა ძალიან ბევრი საკითხი, რაზეც შეიძლებოდა დღეს უფრო დეტალურად მსჯელობა. გასაგებია, რომ გეგმა არ არსებობს, მაგრამ ჩვენ მზად ვიყავით, შეგვეთავაზებინა ჩვენს მიერ შემუშავებული გეგმა. როგორც ჩანს, უმრავლესობა დღეს პარლამენტში არ იქნება. თუმცა, ყველაზე გასაოცარი არის პარლამენტის თავმჯდომარის პოზიცია — იმის მაგივრად, ცდილობდეს პარლამენტარიზმის გაძლიერებას, დაკავებულია პარლამენტის სხდომების ბოიკოტით. უსუფაშვილი არის სრულიად უნიკალური მოვლენა პარლამენტარიზმის ისტორიაში“,** — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

წიკლაურის ამ შეშფოთებაზე ერთი ფრაზა გამახსენდა ფილმიდან „მიმინო“: Я сам не знал, Нугзар, клянусь честью, Ну, падла буду! **არა, მართლა არ ვიცოდი, რომ ნაცების მსჯელობა ქვეყნის გადარჩენის საჭირბოროტო საკითხებზე ამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა, თორემ უსუფაშვილს მე თვითონ ჩამოვიყვანდი ქუთაისში.**

გასულ კვირაშიც გახმიანდა ბიუჯეტის ფულის უპრაგონოდ ხარჯვის რამდენიმე შემთხვევა. პრინციპში საქართველოს მოსახლეობა უკვე იმდენად მიეჩვია ნებისმიერი დონის ჩინოსნის მიერ თავისი ფულის საკუთარი კომფორტის მოსაწყობად ხარჯვას, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანქანას, რომელიც ინდოეთის პრემიერ-მინისტრის წლიური ხელფასის ნახევარი ღირს და იმ სანომრე ნიშნებს (TE 041 RJ), რომლებსაც, სავარაუდოდ, რიგითი პენსიონერის ერთი წლის პენსია დასჭირდება, ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ თბილისის საკრებულოს მიერ ე.წ. „აზიური ოთახის“ მოსაწყობად შეძენილმა ბინოკლმა, პუფმა, საათმა და ლარნაკმა, რომელიც 10 300 ლარი დაჯდა, გამაოგნა.

უკაცრავად, მაგრამ ბატონ ჯაბა სამუშიას რამდენიმე შეკითხვა უნდა დავუსვა: დალოცვილო, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ხარ, თუ მაგელანი, ბინოკლს რომ ყიდულობ? ახლა არ მითხრათ, თბილისის თვითმმართველობის ისტორიის მუზეუმს ვაკეთებთო. პუფი რა შუაშია თბილისის თვითმმართველობასთან? დიმიტრი ყიფიანის ნაქონი რომელიმე ნივთი რომ შეგეძინათ, არ შეიძლებოდა?

ეჰ, არ იქნება ამათი საშველი...

სანამ 12 მარტს გამართულ საკომიტეტო მოსმენაზე გადავალ, რომელმაც როგორც დარბაზში, ისე პარლამენტს გარეთაც დიდი ხმაურით ჩაიარა, ორიოდე სიტყვით ქალთა უფლებების დამცველებს მინდა შევეხმიანო.

მკითხველს შევახსენებ, რომ გასული კვირაში ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი „მეტად მტკივნეული“ საკითხი წარმოჩინდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გააკეთა. **„ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში უმნიშვნელოვანესია ყველა თანამედროვე ტიპის სახელმწიფოში. ასეა ჩვენთანაც, მაგრამ საქართველოში ამ საკითხს უფრო მეტი ყურადღება სჭირდება ხელისუფლების ყველა შტოს და საზოგადოების მხრიდან. ყველა ქალმა უნდა იაქტიუროს ამ უფლების დასაცავად, მაგრამ ამავე დროს რეალურად ჩვენ გვჭირდებიან მამაკაცები, რომლებიც ქალთა უფლებებზე იზრუნებენ, მათ გარეშე ეს საკითხი ვერ მოგვარდება. წლების განმავლობაში მე ვარ უმცირესობაში, მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებ, რომ დიახ, ვემხრობი ქვეყანაში ინსტიტუციური კულტურის შეცვლას და იმას, რომ კანონით დადგინდეს კვოტები ქალებისთვის — რამდენი უნდა იყოს პარლამენტში ან თუნდაც პარტიულ სიებში. ზოგიერთ ქვეყანაში ეს პრაქტიკის დონეზე რეგულირდება და ამ პრაქტიკას არავინ არ არღვევს, მაგრამ ჩვენ ეს პრაქტიკა არ გვაქვს, არც გვქონია და ამიტომაც ვფიქრობ, დროებითი ზომის სახით კანონით უნდა იყოს შემოტანილი ამგვარი კვოტები“,** — განაცხადა წულუკიანმა.

უკაცრავად და, ვერ გავიგე, ქალბატონო თეა, თუ რას ნიშნავს კვოტების დაწესება. ვინმე უშლის ქალებს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას? ოდესმე თუ გსმენიათ ქართველი თუნდაც ე.წ. პოლიტიკოსებისგან „ქალს რა უნდა პარლამენტშიო“? ან საზოგადოების მხრიდან თუ გაგიგიათ რაიმე ანტაგონისტური მოსაზრება? რა ვიცი, მე პირადად არ მსმენია. მეტსაც ვიტყვი. კვოტების დაწესებით დაირღვევა თუ არა იმ მამაკაცის (და არა მარტო მამაკაცის) უფლებები, რომელიც რომელიმე პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე ქალბატონზე უფრო მეტი კვალიფიკაციისაა, მაგრამ პარტიის თავმჯდომარე მას სიაში კვოტის გამო ვერ ჩასვამს?

შემთხვევით აქ ქალთა უფლებებზე ზრუნვის ნაცვლად, ცოტა სხვა რამესთან ხომ არ გვაქვს საქმე? ერთ მაგალითს მოვიყვან და მიხვდებით, თუ რას ვგულისხმობ „ცოტა სხვა რამეში“.

როცა ხორვატიას ევროკავშირში იღებდნენ, ოფიციალურ ცერემონიაზე ერთ-ერთმა ევროპული ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა დიდი ამბით განაცხადა: ვხედავ, თქვენთან სექს-უმცირესობები ძალიან ცოტაა და რა ხდებაო? გადაირია ხორვატიის პრეზიდენტი, არ გვყავს, ბატონო, ხორვატიაში ამაზე მეტი „სექსუმცირესობა“ და საიდან გავზარდოთ რაოდენობა, ვერ ვგებულობო... ცოტა დააკლდა ოფიციალური ცერემონიის ჩაშლას.

სულო ცოდვილო, ამ საკითხთან მიმართებაში ორი შეკითხვა გამიჩნდა:

1. ეს თემაც ე.წ. უფლებადამცველთა მიერ ხომ არ არის „შემოგდებული“, რათა ამ საკითხზე მსჯელობაში, სხვადასხვა მონიტორინგის, კვლევისა და კონფერენციის ჩატარებაში, ზოგიერთმა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციამ საკმაოდ მსუყე გრანტები მოიპოვოს?

2. ის ავადსახსენებელი კესარია, პარლამენტში ქალების კვოტით შევა, თუ კაცების?

და ბოლოს, არაფრით არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო 12 მარტს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში მთავრობის ეკონომიკური გუნდის მოსმენას, რომლის შოუდ ქცევას შეეცადნენ როგორც საპარლამენტო უმცირესობა, ასევე „რუსთავი-2“-იც. არ დავიწყებ ამ ცუდი სპექტაკლის დეტალურად აღწერას, რადგანაც მიუხედავად „რუსთავი-2“-ის მცდელობისა, მთელი ქვეყნისთვის ეჩვენებინათ, თუ როგორ დაუსვამდნენ „გამანადგურებელ შეკითხვებს“ ნაცმოძრაობის წარმომადგენლები დღევანდელ ხელისუფლებას და საბოლოოდ „გააფარჩაკებდნენ“ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას, არ გამოვიდა. არ გამოვიდა თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ თავად არ იციან, რა უნდა გაკეთდეს და ხშირად ვერ მალავენ საკუთარ მძარცველურ სურვილებს. ამ ფონზე ძალიან სასაცილო იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მხარდასაჭერად მოსული „მოაზროვნე“ გიორგი ბაქრაძე, რომელიც სახის მიმიკებით ცდილობდა შეშფოთება გამოეხატა ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებაზე.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით, ძალიან კარგი შეფასება გააკეთა დემურ გიორხელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ **„ნაცმოძრაობა“ ისე იქცევა, როგორც ჩვეულებრივი ოპოზიცია, როცა მთავრობიდან ხედავს არაეფექტურ და არააქტიურ მოქმედებას და მას თავს ახვევს საკუთარ შეხედულებებს. კრიზისიდან გამოსვლის „ნაციონალების“ გეგმა მე არ მომწონს. მასზე საკმაოდ დეტალურად შემიძლია ლაპარაკი, მაგრამ ოპოზიცია თავისებურად აქტიურობს, ხოლო მთავრობა ვალდებულია, თავისი საქმე აკეთოს. რაკი მთავრობა თავისას აგვიანებს, ოპოზიცია მას „აწვება“ და „აწვება“ შესანიშნავად, ვინაიდან მას ყოველდღიურად უხმაურებს იმას, რაც ხელისუფლების კარგ საქმიანობაზე არ მიუთითებს.“**

და, სამწუხაროდ, ძალიან არაადეკვატური იყო კომიტეტის თავმჯდომარის ზურაბ ტყემალაძის შეკითხვა გიორგი ქადაგიძისადმი. მან პოლიტიკური ოპონენტების კრიტიკა და განცხადებები „სპეკულაციად“ შეაფასა. **„რის დეკრიმინალიზაციაზე საუბრობთ — ცხრა წლის განმავლობაში განხორციელებული ქმედებების დეკრიმინალიზაციაზე?!“,** — მიმართა ტყემალაძემ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს.

დარგობრივი კომიტეტის ხელმძღვანელმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გიორგი ქადაგიძესაც მიმართა და სთხოვა გაეხსენებინა, თუ როგორ ხდებოდა კომერციული ბანკების წართმევა ან გაკოტრება.

უკაცრავად, ბატონო ზურაბ, მაგრამ ერთ ფრაზას შეგახსენებთ ფილმიდან „დარიკო“:

„ჩაფარიც თქვენია, ჟანდარმიც და თოფიც. მე ამ შიშველი ხელებით სად ვსდიო დარიკოს?“

დიახ ბატონო ზურაბ, თუ იცით, რომ ქადაგიძე დამნაშავეა (და ყველამ კარგად იცის, რითიც სულდგმულობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი), მიმართეთ ადეკვატურ ზომებს, თორემ იმ ავადსახსენებელ ცხრა წელიწადზე აპელირება, უკვე სასაცილო კი არა, ამაზრზენი გახდა.

თუ პუტინის ავადმყოფობას არ ჩავთვლით, პრინციპში გასულ კვირაში მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა. პუტინი კი თავისმა მედიამ იტიროს. დღეს ამით დავამთავრებ და ერთ კვირაში აუცილებლად შეგეხმიანებით.

გია გაბრიჭიძე

◉ ალიან-ჩალიანი

დაპირისპირება თბილისის მერიასთან

გუშინ იპოთეკით დაზარალებულები თბილისის მერიაში შესვლას ცდილობდნენ, თუმცა, მათ ამის საშუალება მერიის უსაფრთხოების სამსახურმა და ადგილზე მობილიზებულმა პოლიციამ არ მისცა. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ მათ მერთან შეხვედრა სურდათ. მათ სურთ, დავით ნარმანიამ უშუამდგომლოს საქართველოს მთავრობასთან და უბინაოდ დარჩენილ 6000-მდე მოქალაქე მერიისა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებულ შენობებში შეასახლონ. დაცვის სამსახურის თანამშრომლების თქმით, ისინი სპეციალური სიის გარეშე თბილისის მერიაში შეხვედრაზე ვერავის შეუშვებენ. აქციის მონაწილეებსა და დაცვის სამსახურის თანამშრომლებს შორის დაპირისპირება რამდენჯერმე მოხდა.

აქციას შეუერთდა პოლიტიკური გაერთიანება „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის“ წევრი ზურაბ ხარატიშვილიც. დაცვის სამსახურმა მერიაში შესვლის საშუალება არც ხარატიშვილს მისცა. აქციის ერთ-ერთი მონაწილე თბილისის მერიასთან შეუძლოდ გახდა და სასწრაფოს გამოძახება გახდა საჭირო. ამის შემდეგ იპოთეკით დაზარალებულებმა თბილისში, სააკაძის მოედანზე „თიბისი ბანკის“ და პრივატ ბანკის ფილიალებთან გადაინაცვლეს. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, ისინი უსახლკაროდ სწორედ ბანკების გამო დარჩენენ.

ინტერპრესი

ანტიკუროზიდან გადმოსული სიდიადე

ორად ორი ბაჯაღლო და „კოლოკოლნოე სერებრო“ გრიბოედოვი

დიდი მოქანდაკის ოჯახში დაიბადა მერაბ მერაბიშვილი... დიდოსტატ კონსტანტინე მერაბიშვილის ვაჟი, იმ კონსტანტინე მერაბიშვილისა, რომელმაც იაკობ ნიკოლაძის, მისივე უსაყვარლესი პედაგოგის ხელდასხმით მართლაც ქართული ქანდაკების პატრიარქად შეძლო ქცეულიყო. იაკობ ნიკოლაძე კი ტყუილად არ აჩუქებდა ნიჭიერ მოწაფეს როდენისეულ ფარგალს, რომელიც ახლა მამისგან დანატოვარ სახელოსნოში გამორჩეულ ადგილზე უკიდია დიდ მოქანდაკეს.

ოცდაათი წლის ხელოვანმა თბილისში მისი სადიპლომო ნამუშევარი დიდებული რუსის, ქართველთა სიძის, ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი დადგა. როგორც ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ბატონი **დავით ანდრიაძე** იგონებს („მაგთიკომის“ მიერ ორიოდ დღის წინათ გამოცემული უშესანიშნავესი ალბომის **„მერაბ მერაბიშვილის“** შემდგენელი და ტექსტის ავტორი), **„რუსული აკადემიური კლასიციზმის პოზიციებიდან, მართლაც „ხუთიანზე“ შესრულებულმა ნამუშევარმა საბჭოთა იმპერიის სამხატვრო აკადემიის უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი დაიმსახურა. საინტერესო დეტალია: ლენინგრადის განთქმულ ქარხანაში, გრიბოედოვს რომ ასხამდნენ ბრინჯაოში, ახალგედა მოქანდაკეს შესთავაზეს, ვერცხლი ხომ არ გაგვერიაო... სად ვიშოვო ვერცხლიო, გაიკვირვა თურმე „პატარა მერაბიშვილმა“... აგერ ბაზრობაზე იყიდება ხუთ მანეთად ნიკოლოზის ვერცხლის მონეტებიო, მიასწავლეს გამოცდილმა ოსტატებმა...**

მაშინვე გაქანდა „ავტორი“, ასი ვერცხლის მანეთიანი იყიდა და ასე ჩადო გრიბოედოვის თავში ეს ძვირფასი ინვესტიცია. ამას „კოლოკოლნოე სერებრო“ ჰქვია! გავა კიდევ ოთხი ათეული წელი და მერაბ მერაბიშვილს ამჯერად უკვე, რუსეთის სამხატვრო აკადემიის კიდევ ერთი ბაჯაღლოთი აჯილდოებენ მოსკოვში შექმნილი პეტრე ბაგრატიონის ძეგლისთვის“.

ესაა ორად ორი ჯილდო, რომელიც ეამაყება ბატონ მერაბს, თუ ქართველი ხალხის სიყვარულს არ ჩავთვლით. სხვათა შორის, სხვა რაიმე სახელმწიფო ჯილდო – ორდენი თუ პრემია არც მიუღია.

რუსთაველიდან ბაგრატიონამდე

12 მარტს მაგთი კლუბში უამრავმა თბილისელმა და თბილისის სტუმარმა მოიყარა თავი. მაგთიკომმა ტრადიციას არ უღალატა და ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით ამჯერად ბატონ მერაბსა და მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებს კიდევ ერთი შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა, დამსწრე საზოგადოებას დიდი მოქანდაკის შემოქმედების ამსახველი ალბომი აჩუქა. გაგიკვირდებათ, ძვირფასო მკითხველო და ღვაწლმოსილი ხელოვანის ცხოვრებაში ეს პირველი წიგნია, რომელიც მის შემოქმედებას ეძღვნება. აქამომდის არათუ ალბომი, ბუ-

ჯანსუღ ჩარკვიანი.

ნებით მორიდებული საჭრეთლის ოსტატს ბუკლეტიც კი არ გამოუცია. ეს ბატონი **გია ჯოხთაბერიძისა** და მაგთიკომის დამსახურებაა, რომელიც ხაზგასმით აღნიშნეს ამ შესანიშნავ საღამოზე ბატონი მერაბის ნიჭის დამფასებლებმა, მეგობრებმა და კოლეგებმა.

„დიდ ხელოვნებას ვეთაყვანები და ვტკბები, როდესაც მივდივარ რუსთაველიდან ბაგრატიონამდე. რუსთაველი ბატონი კონსტანტინეს შესანიშნავი ქმნილებაა და ბაგრატიონი ჩემი მერაბის დიდებაა. მამიდან შვილამდე დიდი ხელოვნების გზას მივუყვები. გმადლობთ ბატონო გია, იმისთვის, რომ იცით ხელოვანთა დაფასება, მოფერება და გვერდით დგომა. მადლობელი ვარ ყველასი, ვინც დღეს ჩემს მერაბს ეფერება. ამაზე დაფასებული და სასიხარულო რა უნდა იყოს“, – ეს ბატონი ჯანსუღია, ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელსაც, მისი თქმით, უფლება არ ჰქონდა არ მოსულიყო და არ მოფერებოდა სულით პოეტ ხელოვანსა და მეგობარს.

კონსტანტინე მერაბიშვილმა თბილისის სიმბოლოდ ქცეული დიდი მგოსნის ძეგლი აჩუქა ქართველ ხალხს, მისმა ვაჟმა კი 1984 წელს, ორთაჭალაში, ქართველი „მამელუქის“, ბოროდინოს გმირის პეტრე ბაგრატიონის ძეგლი. აღსანიშნავია, რომ დიდი მხედართმთავრის მეორე, არანაკლებ შთამბეჭდავი ძეგლი, თბილისური ვარიანტისაგან განსხვავებული, თხუთმეტი წლის შემდეგ რუსეთის დედაქალაქშიც დაიდგა. ამ დიდებულ ქანდაკებას მაშინ საბურველი რუსეთის პრემიერმა (ამჟამად პრეზიდენტმა) ვლადიმერ პუტინმა და ქალაქის მერმა იური ლუჟკოვმა ჩამოხსნეს. მაშინ, მგონი სიტყვაც კი წარმოსთქვა სრულიად რუსეთის აქ უკვე მარადიულმა ხელმწიფემ.



„ჯილდო ჩემი თავი მომეწონა“

დიდი ხელოვანის შემოქმედებაზე ისაუბრეს ბატონმა დავით ანდრიაძემ, აკადემიკოსმა რისმაგ გორდეზიანმა, მხატვარმა გივი თოიძემ, კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა, აკადემიკოსმა ვანო კიღურაძემ, მხატვარმა მურაზ მურვანიძემ, არქიტექტორმა გიგა ბათიაშვილმა, პოეტმა ბადრი ქუთათელაძემ, პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა, პროფესორმა გუჩა კვარაცხელიამ, ბატონი მერაბის მეგობრებმა.

ბატონმა რისმაგ გორდეზიანმა ანტიკურობიდან გადმოსული სიდიადე უწოდა ხელოვანის ქმნილებებს და ქვაში გაცოცხლებულ კლასიციზმის შედევრებს არა მარტო ალბომში და მოქანდაკის სახელოსნოში ხილვა, არამედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში აღმართვა ისურვა.

ქალბატონმა ინესა მერაბიშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ქალთა საზოგადოებას **„საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“**, რომელთა ინიციატივითაც გამოვიდა ეს მშვენიერი ალბომი.

„ოთხმოცდასამი წლისა გავხდი, წიგნი და ალბომი კი არა, უბრალო ბუკლეტიც კი არ გამომიცია. მადლობა თქვენ, აქ მობრძანებისთვის, მოფერებისთვის. ისტორიის ჭეშმარიტება ქვაშია, უიმისოდ ისტორია იცრუებს, – ბრძანა ნაპოლეონ ბონაპარტემ და ამის მაგალითი ეგვიპტის პირამიდები, ბერძნული ქანდაკებები, ქვაში გაცოცხლებული უამრავი სიდიადე გადაეცემა თაობებს. ჩემ ცხოვრებაში ბევრი ვიშრომე, ბევრი გამარჯვებაც მინახავს, მაგრამ დღევანდელ დღეს უბედნიერესი ვარ ასეთი სიყვარულისთვის, რაც თქვენ მომანიჭეთ, იმდენი მაქეთ, რომ კიღამ ჩემი თავი მომეწონა“, – ბრძანა სამადლობელ სიტყვაში ბატონმა მერაბმა.

* * *

გავა საუკუნეები, შთამომავლობა კი იხილავს ბაგრატიონს, გრიბოედოვს, მეფე ერეკლეს, ბატონი მერაბის მიერ შექმნილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა უამრავ ბიუსტს, რომელიც არამარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც დგას და დარწმუნდება ჭეშმარიტი ხელოვანის სიდიადეში, რომლისთვისაც ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის აღიარებაა.

და ბოლოს, ამ შესანიშნავი ალბომის მომზადებასა და გამოცემისათვის დაუღალავად იშრომეს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, ალბომის რედაქტორმა ქალბატონმა **ნანა შერვაშიძემ**, მთარგმნელებმა **ციცო ხოცუაშვილმა** და **ნინო ტორაძემ**, ფოტოხელოვანმა **გია ჩხატარაშვილმა**, ტექსტის ავტორი გახლავთ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი **დავით ანდრიაძე**.

მამუკა ვაშაკიძე

პეტრე ბაგრატიონი. მოსკოვი. 1999

ალ. გრიბოედოვი. თბილისი. 1961

ერეკლე მეორე. თელავი. 1971

მამუკა ჩარკვიანი:

„ისედაც დავუწერ უფალს საგალობლებს“



– თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

– პატარა ერისათვის ომის, დაძაბულობის მდგომარეობა... მახსოვს, 90-იან წლებში ბავშვისთვის დილის ოთხ საათზე რომ გავედი პურის რიგში ჩასადგომად, ერთი ტიპი გამყიდველს ხმამაღლა უყვირის – ორი პური გადამინახე, მერე გამოგივლიო. ისეთმა ბრაზმა მომიარა, თავი ძლივს შევიკავე...

– სად ისურვებდით ცხოვრებას?

– რა თქმა უნდა, საქართველოში... (ოღონდ რო ურიკინებს, ისეთში არა).

– რა არის უმაღლესი ბედნიერება?

– მე ვიყავი ყველაზე ბედნიერი ადამიანი, როდესაც ირმამ მაჩუქა ჩვენი გვარის გამგრძელებელი, პატარა ჯანსუღ ჩარკვიანი. ტრადიციული ოჯახიდან რომ ვარ და ამიტომ ბიჭის გაჩენას თითქოს რაღაც განსაკუთრებული სიხარული ახლდა ჩემთვის.

– თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

– „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ყველა პერსონაჟი, დათა თუთაშხია, დონ კიხოტი...

– თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

– გიორგი ჭყონდიდელი, დავითის მასწავლებელი... (იღიმება).

– თქვენი საყვარელი მხატვარი?

– გია მირზაშვილი, სალვადორ დალი, მოდილიანი და, რა თქმა უნდა, როგორც მაკა ჯოხაძის მოთხრობიდან ერთი პერსონაჟი გვიპასუხებდა: „ფიროსმანი? ფიროსმანი ხომ პაპაჩემია“, თავისთავად იგულისხმება.

– თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

– ბიძინა კვერნაძე, შოპენი... მთელი სისავსით ვგრძნობ რახმანინოვის სიძლიერეს და სიდიადეს.

– რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

– ერთგულებას.

– რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

– პატიოსნებას საკუთარი თავის წინაშე.

– რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

– თავმდაბლობა, მაგრამ ისე, რომ საკუთარი თავის ფასი იცოდე.

– თქვენი საყვარელი საქმიანობა?

– ჩემს ოჯახში დილა იწყება ასე – გაღვიძებისთანავე მივუჯდები ხოლმე „იამაჰას“ ინსტრუმენტს და დასაძინებელი ოთახიდან უკვე მესმის ირმას ხმა: „მამუკა, სირცხვილია, სძინავთ მეზობლებს“... ამ გაფრთხილების მერე გიტარაზე გადავდივარ, ისევ ირმას ხმა: „რვა დაიწყო, ჯერ არ გაუღვიძია ხალხს...“ არ გაუღვიძიათ და... სადარბაზში გავდივარ, ქურთუკის ჯიბიდან ტუჩის გარმონს ვიღებ და მერვე სართულიდან პირველამდე სულ სულის ჩაბერვით ჩავდივარ... ასე რომ, ვუფრთხილდები ძილბურანში მყოფ მეზობლებს და ჩემს საყვარელ საქმიანობას დილაუთენია ქუჩაში ვაგრძელებ (იცინის).

– თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

– ჰემინგუეი მინდოდა ვყოფილიყავი, იმ კაფეში მინდოდა დამელია მოყვითალო-მოოქროსფერო ესარას ორმაგი ულუფა, რომელშიც სვამდა და ხანდახან მუშაობდა კიდეც მწერალი.

– თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

– უცებ მავიწყდება თუ რამეს მაწყენინებენ.

– რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

– ერთგულებას.

– თქვენი მთავარი ნაკლი?

– მაქვს მრავალგზისი, სხვადასხვა სახის მოტეხილობები, რომელიც მე თვითონ მივუსაჯე საკუთარ თავს და ამიტომაც ხშირად ვფიცხდები საკუთარ თავზე, არადა, ხშირად ჰგონიათ, რომ სხვაზე ვბრაზდები (იცინის).

– თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

– მართალია, ბედნიერება ეფემერულია, მაგრამ ბედნიერებაა, აბა რაა, როცა კიდევ ერთი დღე გითენდება, თუ ცოცხალი ხარ, თუ გყავს კარგი შვილი, კარგი მეუღლე, თუ ზიხარ ზღვასთან და ჰორიზონტზე თვალს აღევნებ, როგორ ჩადის დაღლილი მზე, რომ ხვალ დილით ისევ შენთვის ამოვიდეს... ამის განცდას სხვა რა ჰქვია, თუ არა ბედნიერება...

– რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

– იქნებ გამოვტოვოთ ეგ შეკითხვა, არ მინდა მაგაზე პასუხი.

– როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

– მაგაზე ერთ ჩემს მეგობარს ასეთი პასუხი აქვს: მამუკა ჩარკვიანი ცხოვრობს, მუშაობს და მღერის როგორც უნდა – „მაქვს მკერდს მიდებული“-ს პონტში.

– თქვენი საყვარელი ფერი?

– ლურჯი.

– ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

– ვარდი, სიმღერიდან გამომდინარე კი – კესანეც.

– თქვენი საყვარელი ფრინველი?

– არწივის გარდა არც ერთი ფრინველი არ მიყვარს. არწივსაც პატივს უფრო მამაჩემის სტრიქონების გამო ვცემ.

მე დაჭრილ არწივს თვალებში ვკოცნი,
მერე ფრთებს ვუშლი და მხრებს ვატოლებ...

ასე რომ, სიყვარული რასაც ჰქვია, ფრინველებზე ვერ ვიტყვი, რომ მიყვარს.

– თქვენი საყვარელი მწერალი?

– ვაჟა-ფშაველა – როგორც მწერალი, ფილოსოფოსი, დიდი მოაზროვნე... დეპრესიას მარტო ალენ დელონს არ უხსნის, თუ ჩაუჯდები, ქართველებსაც კარგად მკურნალობს (ეღიმება).

– თქვენი საყვარელი პოეტები?

– გალაკტიონი, ბოდლერი, ჯანსუღი, ოთარ ჭილაძე...

– საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

– ბევრია... ყველაზე მეტად კი მარიტა, გოგლას „ნატვრის ხიდან“.

– საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

– რთულია რეალურ ცხოვრებაში გმირების დასახელება. ამ სირთულეს ათასი მიზეზი გააჩნია. ყველა ერს ღირსებით სავსე ადამიანები ჰყავს რეალურ ცხოვრებაშიც, მაგრამ თითქოს დაუწერელი კანონია – გმირები სიკვდილის მერე ხდებიან.

– საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

– წმინდა ნინო ჯავახეთის მთებით რომ მოდიოდა ჩვენსკენ...

– საყვარელი სახელები?

– თამარი, მამუკა, მაკა, ირმა, ლაშა, გიორგი.

– რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

– თვალებში რომ მიყურებს უტიფრად და... მატყუებს.

– ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

– ზიზღის გრძნობა შინაგანად არ გამაჩნია. ამიტომ ასე ვიტყვი – ცუდი კაცები და ცუდი ქალები, რომლებმაც თავიანთი ეპოქის საუკეთესო შვილებს ცხოვრება გაუმწარეს.

– საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?

– გამარჯვებულებს არ ასამართლებენ...

– რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

– ჩემი აზრით, ნებისმიერი რეფორმა მაშინაა გამარჯვებული, როდესაც ახერხებს ხალხის ნებაყოფლობით ჩართვას ამ რეფორმაში. რადგან ხალხი, განსაკუთრებით კი ერი, ინტუიციურად, გუმანით გრძნობს სასიკეთო ცვლილებების არსს. სადღაც წავიკითხე, ზუსტად აღარ მახსოვს სად, თავის დროზე შვედეთის პრეზიდენტმა თურმე ხალხს მიმართა: ცუდადაა ჩვენი საქმე, კრიზისში ვიმყოფებით და ამიტომ გთხოვთ 2-3 წლის განმავლობაში მხოლოდ ადგილობრივი წარმოების პროდუქტები შეიძინოთ და დანარჩენზე უარი ვთქვათო.

მოსახლეობამ ეს თხოვნა მოწოდებად მიიღო და ერთხმად შეასრულა. ასეთ ერში ურთულესი რეფორმებიც კი წარმატებული შედეგებით ხორციელდება. ჩვენ ვიცით, დღეს როგორი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დონეა მსგავსი ტიპის ქვეყნებში.

– ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

– ჯერ ექიმობა მინდოდა ძალიან, ისეთი წყვეტა იყო, ამ ინსტიტუტში ჩაბარება ვერ გავბედე. მერე რეჟისორობა მინდოდა მოსკოვში „ვგიკში“ გამოცდების ჩასაბარებლად ჩემებმა არ გამიშვეს. თხილამურებზე სრიალიც არ შედგა, ამისთვის პირველ რიგში მამამ უნდა მოიცალოს... კიდევ შეიძლება რამდენიმე პროფესიის ჩამოთვლა, მაგრამ გამოკვეთილად არა...

– როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

– ღამე რომ გავიპარო, არ მინდა, მინდა თვალებში ჩავხედო ჩემს წასაყვანად მოსულს. მინდა, მოვასწრო და შვილიშვილების გარემოცვაში ვიყო ამ დროს სადმე, აგარაკზე. იმ წუთებში ცოლიც რომ გვერდით მყავდეს, ესეც შვება იქნებოდა... ესეც ოცნებები სიკვდილთან დაკავშირებით... (იღიმება).

– თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

– ამჟამად მძიმე, მაგრამ, როგორც იტყვიან, ვებრძვი დემონებს. ერთი წელია, სულ შინ ვარ, რამდენიმე ოპერაციის მერე ეტლს მიჯაჭვული. ერთადერთი შვება ისევ მუსიკაა... ახალ სიმღერებზე ვმუშაობ...

– ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

– სიტუაციას გააჩნია, გარემოებას... ისე კი ისეთი რთული შეკითხვაა, მაგაზე სწორი პასუხი წესიერ პროკურორებსაც კი გაუჭირდებათ (იღიმება).

– თქვენი დევიზი?

– (სიცილით) რაც შეიძლება მეტი ვიცოცხლო! ძალიან კარგ დროს ვატარებ და კარგ რაღაცებს ვაპირებ. ისედაც დავუწერ უფალს საგალობლებს, მაგრამ ერთი 30-35 წელი კიდევ რომ მაჩუქოს, ხოტბა და სიმღერები მაშინ ნახეთ (იცინის).

– თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

– შენს წინ ვდგავარ და ახლა ხომ მხედავ?– და მე ვუპასუხებდი – გხედავ უფალო, მადლობა ღმერთს, რომ გხედავ... დანახვა ხომ ასე ადვილი არაა, პილატეს რომ უთხრა. მათ წინ ვდგავარ და ვერ მხედავენო.

„ჩვენი მწერლობა“.
2015 წლის №5.

◎ პოეზია

დილარ ივარდავა

გოდების ციკლიდან

გულმწარე ლოდინში

საქართველოში
ანაკონდამ შვა ანარქია,
რაც სიგლახეა ქვეყანაზე
ჩვენ არ გვაკლია!
ჩაწიხლულია სათნოება,
გრძნობა ალალი,
გაქურდულია საბარაქო
შიოს მარანი.
აშკარა მტრობა სახეზეა,
არ ჩანს არავინ
გამართოს სახლი,
ეზო, კარი, ბაღი, თალარი!
რას დავამსგავსეთ უძველესი
ყანა-ვენახი,
დღეს ოდობადეს მიმხედველი
ერთიც ვერ ვნახე!
ზესკნელ-ქვესკნელი
გაგვიხდია ბნელეთისანი,
ჩაძაძულია და არ სუნთქავს
სხივნი ცისანი;
ზენა ქვენაობს,
ყველა როგორ თავქარიანობს,
საქართველოში
სამუმების ჟამი ქრიანო!
უილაჯობამ დაგაქცია,
ადამიანო!
სიმართლე არსად აღარა კრთის,
აღარ ხმიანობს;
ხალხის ღირსებას თელავენ და
დაბლა ხრიანო.
დაწყევლილნი ვართ,
ალბათ, მალე გადაშენებით
ირგვლივ ხმიანობს უღრანი ტყე
ბინძურ ენების!
მეორედ მოსვლის,
ალბათ, მოსრის ჟამი ეს არის,
ფუჭად ხმაურობს
პარლამენტის ბრიყვი ვერსალი!
ვერა გადადგა ამ მთავრობამ
ბიჯი ვერსაით!
თბილისი ნახეთ
კუპჩის ტბაა უფსკერ-უძირო,
აზავთებულა სიღატაკის
ღამე უძილო;
ცრუობს, ყასიდობს პატრიოტთა
ვითომ შფოთვანი,
რის სიყვარული
სინანულიც მათგან შორს არი!
საით მიბორგავ სამშობლოო,
ასად დაჭრილო,
ვინღა წაგგვარა იმედი და
რწმენა საჩინო,
სადღაა გმირი ბრძენი, ქველი—
გადაგარჩინოს!
ფარნავაზის და ქუჯის მოდგმავ,
რა დაგმართნია,
საციცინათლო ნაპერწკალიც
არსად ანთია!
ვინ გიფათურებს უბეს შიგან
უწმინდურ ხელებს,
აღარ გშორდება
სისხლისა და ცრემლების ღელე;
ო, საქარველოვ,
ანაკონდამ მზე დაგიბნელა,
როდის გეღირსოს
შვილთა შენთა გონისგან შველა?!

2012 წ. იანვარი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს „ლუდის მეფემ“ აზრი გამოთქვა რუსეთთან შერიგების შესახებ

გოგი თოფაძე ქვეყნის ნატოში შესვლის წინააღმდეგია

ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა და გავლენიანმა ქართველმა ბიზნესმენმა, პარლამენტის წევრმა მმართველ კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გოგი თოფაძემ, რომელსაც საქართველოს ლუდის მეფეს“ უწოდებენ, განაცხადა, რომ არ ეთანხმება ნატოსთან დაახლოების კურსს და გამოვიდა რუსეთთან „ფართომასშტაბიანი დიალოგისთვის“. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ბატონმა თოფაძემ გამოთქვა „ხელისუფლების საიდუმლო ჩანაფიქრი“ ქვეყნის პროდასავლური კურსიდან გადახვევის შესახებ.

ნატოში საქართველოს შესვლის კურსთან უთანხმოების შესახებ გოგი თოფაძემ განაცხადა თბილისის მთელი რიგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მისი აზრით, „არ არის ქვეყანა, რომელსაც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მიეღო რაიმე სარგებელი ნატოსთან თანამშრომლობისგან“. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს მიიჩნევს უფრო აგრესიულ სახელმწიფოდ, ვიდრე რუსეთის ფედერაციას და შეგვახსენებს იუგოსლავიის მწარე ბედს, რომელიც შუაზე გახლეჩილი აღმოჩნდა“. ამავე დროს გოგი თოფაძე ამტკიცებს, რომ „არავინ აპირებს საქართველოს მიღებას ნატოში“. რის შესახებაც, მისი აზრით, მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის პრეზიდენტების უკანასკნელი გამონათქვამები. ყველაზე სახიფათოდ კი ბიზნესმენი მიიჩნევს საქართველოში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსებას.

„წარმოიდგინეთ, ნატომ განათავსოს კავკასიის ქედზე რაკეტები და იგი კრემლისკენ გაიშვიროს, — მსჯელობს ბიზნესმენი. — **განა რუსეთი ამას დაეთანხმება? უკრაინაც კი საბავშვო სათამაშოდ მოგვეჩვენება!“. ის დარწმუნებულია, რომ ქართველების 80 პროცენტი წინააღმდეგია ქვეყნის ალიანსში წევრობისა. „მოდით, მოვაწყოთ რეფერენდუმი და ყველაფერი ნათელი გახდება“,** — მოგვიწოდა დეპუტატმა. **ხოლო როდესაც უპასუხებდა 2008 წლის რეფერენდუმის შესახებ არგუმენტს, როდესაც დაახლოებით 80 პროცენტმა მხარი დაუჭირა ალიანსში შესვლას, გოგი თოფაძემ შეგვახსენა: ის რეფერენდუმი გაიმართა „ხუთდღიან ომამდე“, როდესაც, მისი სიტყვებით, ნატომ არანაირი მხარდაჭერა არ გაუწია საქართველოს და გააგრძელა თანამშრომლობა რუსეთთან, „თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს“. ბიზნესმენი დარწმუნებულია, რომ რუსეთთან ნორმალური დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად შეიძლება მივაღწიოთ გაცილებით მეტს, ვიდრე ნატოსთან დაახლოებით.**

გოგი თოფაძე, რომელიც სათავეში უდგას პარტიას „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, არის მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი და პიროვნება, რომელიც დაახლოებულია კოალიციის არაფორმალურ ლიდერთან მილიარდერ ბიძინა ივანიშვილთან. ამიტომ ოპოზიციას მიაჩნია, რომ, მართალია, „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერები ღიად არ უჭერენ მხარს გოგი თოფაძის მოწოდებას ნატოში შესვლის კურსზე უარის თქმის შესახებ, სინამდვილეში მან გამოთქვა აზრი, რომელიც დომინირებს მმართველ კოალიციაში. **„ყველა მათგანი ასე ფიქრობს, მაგრამ გარკვეული დროის განმავლობაში ამას მალავს, ელოდებიან შესაბამის მომენტს“,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლმა ოპოზიციური პარტიიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პარლამენტის წევრმა დავით დარჩიაშვილმა.

Коммерсантъ

ლავროვმა იმზაკვრა?

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადება ეწინააღმდეგება საქართველო-რუსეთის შეთანხმების არსს, მიაჩნიათ თბილისში. საკითხი შეეხება შეთანხმებას ტვირთების საერთაშორისო მონიტორინგის შესახებ რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მონაკვეთებზე, რომელიც საშუალებას მისცემს ოფიციალურ თბილისს, მიიღოს მონაცემები საქონელბრუნვის შესახებ მის მიერ არაკონტროლირებად რეგიონებში.

პრაქტიკულად იმპლემენტაცია შეთანხმებისა, რომელიც გაფორმდა თბილისსა და მოსკოვს შორის სამ წელზე მეტი წლის წინათ (2011 წლის ნოემბერში), როგორც ჩანს, შეიძლება გადაიდოს გარკვეული დროით.

დღეს თბილისმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებაზე გააკეთა რეაგირება. ლავროვმა ეს განცხადება გააკეთა წინა დღით თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთან ვიაჩესლავ ჩიკირბასთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე. როდესაც მონიტორინგულ შეთანხმებას უკეთებდა კომენტარს, ლავროვმა თქვა, რომ **„იგი არ ვრცელდება აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ტერიტორიებზე და ზიანს არ აყენებს მათს, როგორც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების სტატუსს“.**

როგორც ჩანს, ამ სიტყვებმა რამდენადმე შეაშფოთა საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლები. კომენტარი, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან მოწესრიგების საკითხში ზურაბ აბაშიძემ გააკეთა, მიუთითებს იმაზე, რომ თბილისი, ალბათ, ემზადება, აიღოს პაუზა.

„ჩვენ მოვიფიქრებთ. გავეცნობით (რუსეთის პოზიციას), აჩქარება, ვფიქრობ, არ ღირს. მოგვიანებით ცნობილი გახდება ჩვენი პოზიცია იმ თემებთან დაკავშირებით, რაზეც სერგეი ლავროვი ლაპარაკობდა“, — მოჰყავს აბაშიძის სიტყვები საქართველოს საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსს“. თუმცა, მას მაინც არ უთქვამს, ეწინააღმდეგება თუ არა ლავროვის სიტყვები იმ დებულებებს, რომლებიც ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული.

შეგახსენებთ, რომ საკითხი შეეხება შეთანხმებას, რომელიც ძალაში შესვლის შემდეგ საშუალებას მისცემს საქართველოს ხელმძღვანელობას თვალყური გაადევნოს ტვირთების შემოსვლას რუსეთიდან იმ ტერიტორიებზე, რომლებიც არ ეკონტროლებიან ოფიციალურ თბილისს — ესე იგი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. რუსეთისა და საქართველოს ხელისუფალთა ერთობლივი შეთანხმებით საქონელბრუნვის მონიტორინგი გადაწყდა მიენდოთ შუამავალი შვედური კომპანიისთვის. მაგალითად, რუსეთის მხარეზე საქართველოს საზღვართან— ზემო ლარსის, ქვედა ზარამაგის და ფსოუს საკონტროლო-გამტარ პუნქტებზე — უნდა შეექმნათ სამი „სავაჭრო დერეფანი“, სადაც გათვალისწინებული იყო, განეთავსებინათ მონიტორინგის მისია. იმის სანაცვლოდ, რომ მიეღო მონაცემები იმ ტვირთების შესახებ, რომლებიც შემოდიოდა თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში, თბილისმა რუსეთი დაუშვა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში.

ერთ დღის განმავლობაში „ეხო კავკაზა“ ცდილობდა, დაკავშირებოდა საქართველოს მთავრობის მეთაურის სპეციალურ წარმომადგენელს, რათა მიეღო დამატებითი განმარტებები, მაგრამ ზარზე იგი არ პასუხობდა. სამაგიეროდ, შევძელით დავკავშირებოდით მათ, ვინც უშუალო მონაწილეობას ღებულობდა ამ შეთანხმების დამუშავებაში.

მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სერგი კაპანაძე არ გამორიცხავს, რომ ლავროვის განცხადება, რომელიც უპირისპირდება შეთანხმების პრინციპებს, უფრო მეტად მიმართული იყო აფხაზური აუდიტორიისკენ.

„თავად შეთანხმება, არსებითად, შეეხება აფხაზეთსაც და სამხრეთ ოსეთსაც, ვინაიდან ის დერეფნები, რომლებიც აღნიშნულია შეთანხმებაში, გადის აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ტერიტორიებზე. მოსკოვის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი შეეხება იმ ტვირთებს, რომლებიც შემოდის ამ ტერიტორიებზე ან იქიდან რუსეთში. ეს აბსოლუტურად ნათლადაა ნათქვამი შეთანხმებაში. ხოლო რუსეთის მინისტრის ინტერპრეტაცია გასაგებია, ეს არ არის ახალი პოზიცია, მაგრამ ეს არ არის ის, რაც შეთანხმებაშია ნათქვამი“, — თქვა კაპანაძემ.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ოპოზიციური ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან, ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი ზურაბ ჭიაბერაშვილი ასევე მუშაობდა დოკუმენტის ტექსტზე. ჩვენთვის მოცემულ კომენტარში მან გვიამბო, რომ შეთანხმებაში საკითხი შეეხება საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მონაკვეთებს. და რუსეთის ხელისუფლებამ ხელი მოაწერა ამ ფორმულირების ქვეშ, — ამბობს ჭიაბერაშვილი.

„ლავროვის განცხადება შორდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრა რუსეთმა, როდესაც ხელი მოაწერა ამ შეთანხმებას 2011 წელს. მოსკოვი ადრე ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწია ამ შეთანხმების რეალიზაციისთვის ან აბაშიძე-კარასინის ფორმატის დახმარებით გაეჭიანურებინა ამ საკითხის გადაწყვეტა. მაგრამ საერთაშორისო გაერთიანების შუამავლობით, მათ შორის, შვეიცარული მონოპოლიური კომპანიისა, მოხერხდა ამ შეთანხმების მიყვანა ფინალურ სტადიამდე, და იგი უნდა ამოქმედდეს. რასაკვირველია, ეს დისკომფორტს ქმნის რუსეთისთვის, ამიტომ ლავროვის განცხადება მიზნად ისახავს იმ შეთანხმების საბოტაჟს, რომელსაც თავადვე მოაწერეს ხელი“, — თქვა ჭიაბერაშვილმა.

დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ მოსკოვი შეიძლება შეეცადოს, მოითხოვოს, რომ ზოგიერთი პუნქტი ან ფორმულირება გასწორდეს. თუ საქართველოს ხელისუფლება დათანხმდება, ამ შემთხვევაში დაზიანდება ქვეყნის ინტერესები, ამბობს ჭიაბერაშვილი.

თუმცა, უახლოეს მომავალში მოსკოვს არ მიეცემა შესაძლებლობა, გადასინჯოს შეთანხმება, ვინაიდან ამისთვის უნდა გავიდეს სამი წელი მისი მოქმედების დაწყებიდან.

Эхо Кавказа

დედამიწის ზურგზე

თვითმფრინავმა, რომელმაც საფრანგეთის ალპებში ავარიული დაჯდომა მოახდინა, დააზიანა მოთხილამურე ქალი

ერთმოტორიანი თვითმფრინავის პილოტმა სასწაულებრივ შეძლო, არ შეჭრილიყო გორაკზე ბავშვების ჯგუფში, მაგრამ 55 წლის ტურისტ ქალბატონს პოლონეთიდან ნაკლებად გაუმართლა: ძრავის ფრთებმა სერიოზული ტრავმა მიაყენეს მის ხელს. ქალი შვეულმფრენით მიიყვანეს საავადმყოფოში, ექიმების სიტყვებით, კიდური პრაქტიკულად ამპუტირებულია.

* * *

დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებამ კიევს ულტიმატუმი წაუყენა, მისცა ერთი დღე-ღამე, რათა განესაზღვრა ტერიტორიები განსაკუთრებული სტატუსით

დონეცკის წარმომადგენლებმა ამ დღეებში „ნორმანდიის ოთხეულს“ მიმართა თხოვნით, მოახდინონ გავლენა კიევზე, უზრუნველყონ მინსკში განსაზღვრული გრაფიკის დაცვა კონფლიქტის ეტაპობრივი მოწესრიგების შესახებ. მაგალითად, დონბასის ტერიტორიების ჩამონათვალი, რომლებიც განსაკუთრებულ სტატუსს ღებულობენ, უნდა განისაზღვროს 14 მარტამდე. უმაღლესი რადა აპირებს, განიხილოს საკითხი მომავალ კვირას.

* * *

აშშ-ის ხელისუფლებამ განაცხადა ყველა 11 ჯარისკაცის დაღუპვის შესახებ, რომლებიც ჩამოვარდნილ სამხედრო შვეულმფრენზე იმყოფებოდნენ

როგორც ხელისუფლება იტყობინება, აღმოჩენილია დაღუპულთა უმრავლესობის სხეულები. შვეულმფრენის ბორტზე 7 საზღვაო ქვეითი და 4 ჯარისკაცი იმყოფებოდნენ. ავარია მოხდა სამშაბათს ეგლინის სამხედრო-საჰაერო ბაზის მახლობლად, რომელიც ფლორიდის შტატის ჩრდილო-დასავლეთში იმყოფება.

* * *

ევროკავშირმა დაბლოკა რუსეთის ფედერაციის უნგრეთთან ბირთვული გარიგება 12 მილიარდ ევროზე. ბუდაპეშტი ინფორმაციას უარყოფს

„როსატომმა“ მოიგო კონტრაქტები პაკშაში ორი ატომური რეაქტორის მშენებლობაზე. მაგრამ გადაწყვეტილებამ — არაფერი ეთქვათ კონტრაქტების ზოგიერთი დეტალების შესახებ ეროვნული უშიშროების მიზეზით — ბრიუსელში „ეჭვი გამოიწვია“, ამტკიცებს „ფინანსიქალ ტაიმსი“. გაზეთის მონაცემებით, ევროპას ხელს არ აძლევდა განზრახვა, მოეხდინა ბირთვული საწვავის იმპორტირება რეაქტორებისთვის მხოლოდ რუსეთიდან.

◉ პოზიცია

როცა მავანთა მიუხვედრელობას საზღვარი არა აქვს

რასაკვირველია, მავანებში ვგულისხმობ სააკაშვილის მომხრეებს. იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მისი საქმიანობის დამგმობია, არ უნდა დიდი მტკიცება.

აშკარაა, თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანა საზღვარგარეთ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი გარე ძალების მოთხოვნა იყო. ამაზე ნუ ვიკამათებთ. გავიხსენოთ უახლესი წარსულის ერთი პერიოდი (1918 წლის დეკემბერი), როდესაც დამნაშავეებმა (სომეხი ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ) საქართველოს მთავრობას მოსთხოვეს პარლამენტის ქუთაისში გადატანა. ამას მოჰყვა ომი, ვისაც არ სჯერა ამ ფაქტისა, წაიკითხოს საქართველოს ისტორიის ახლად გამოცემული ისტორიის სახელმძღვანელო, სადაც მოთხრობილია ამ ომსა და მის წარმომშობ მიზეზებზე.

სამწუხაროდ, ქართველმა ხალხმა ძირისძირამდე ვერ გაიცნობიერა ეს ანტიეროვნული ქმედება და აქცენტი გადაიტანა ფინანსებზე — ძვირი დაგვიჯდება ქუთაისში პარლამენტის ფუნქციონირებაო. სწორედ მაშინ უნდა აღმდგარიყო ქართველი ხალხი და პანღურის ცემით გაეძევებინა საქართველოდან ერის გამცემი ეს არსება. აღარაფერს ვამბობ მის მიერ დაშვებულ სხვა შეცდომებსა და დანაშაულებზე. ამჟამად იგივე გარეშე ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან იმით, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობა არ დამყარდეს, სააკაშვილს შთააგონებენ, რომ უკრაინაში გაიგზავნოს საქართველოს სამხედრო შენაერთები, რაც მას მიანიჭებს საერთაშორისო ფუნქციას. ეს მოსაზრება მკვეთრად გამოსჭვივის უცხოეთის რადიოგადაცემებიდან და იქაურ პრესაში გამოქვეყნებული სტატიებიდან. ქართველი ხალხის ეს არაკეთილმოსურნეები ასე გვმოძღვრავენ: ისრაელიც პატარა სახელმწიფოა, მაგრამ მას აქვს საერთაშორისო ფუნქცია — აშშ პოლიტიკის დამცველია ახლო აღმოსავლეთშიო. ომსაც არ ერიდება. მაგალითად მოჰყავთ ომი ეგვიპტესთან, მაგრამ მათ ავიწყდებათ ერთი სერიოზული რეალობა — საქართველო სამხედრო ძლიერებით ძლიერ ჩამორჩება ისრაელს და არც ეგვიპტეა რუსეთი.

სააკაშვილი რის სააკაშვილია, თუ არ წამოეგო ამ იოლად გასაცნობიერებელ ანკესზე. შესაძლებელია, ყველაფერს ხვდება, მაგრამ მასაც ასე სურს.

სამწუხაროდ, ქართველი ხალხიც თავს არ იწუხებს მოვლენების სიღრმისეული ანალიზით და ხშირად ავანტიურისტთა ანკესზე იოლად წამოეგება.

21 მარტს ყველა თბილისელი უნდა გამოვიდეს ქუჩაში და რამდენჯერმე უნდა გადაფაროს ქართველი ერის უგულებელმყოფელი (რბილად ნათქვამია), არამზადების მიერ მოწყობილი მიტინგი.

გივი ჯახუა

◉ აწარმოე კოსმოსში!

მთვარის ბიზნესი



ამ რამდენიმე დღის წინათ, ინგა გრიგოლიას თოქ-შოუდან რომ ვბრუნდებოდით, ჩემმა ერთმა კოლეგამ „მარშრუტკით“ მგზავრობის დრო ხელისუფლებისა და ტაკიმასხარა შოუმენების განსაქიქებლად გამოიყენა.

— არ წაიღეს ტვინი, — თქვა გოგამ, — ამ მთავრობის ნატოსგან აცდენილი პოლიტიკისა და ერთმანეთთან მამლებივით წაკიდებული პოზიცია-ოპოზიციის ლანძღვა-გინებით?!

— აბა კაცო, — დავეთანხმე, — ინგას ამ გაუთავებელ წივილკივილს, რომელიც ღამე აღარ მაძინებს, არა ჯობდა, ვინმე მეწარმე გამოეყვანათ, რომელმაც ახალი ბიზნესი წამოიწყო და ამის თაობაზე ესაუბრათ?

— რომელი ბიზნესი? — ყურები ცქვიტა გოგამ.

— აი, თუნდაც მთვარის ბიზნესი. მაინც და მაინც უნდა გაივსოს და მერე დავფაცურდეთ?

— ვერ გავიგე, — ეჭვნარევი ღიმილით შემაცქერდა კოლეგა, — შენ ფიქრობ, რომ სავსე მთვარეზე დაწყებული ბიზნესი უპერსპექტივოა?

— გენიოსი ხარ, გენიოსი, — შევაქე, — ახლავე თუ არ შევუდექით იქ მიწების შესყიდვას, ჩათვალე, რომ ეს საქმე სამუდამოდ წაგებულია.

— რა მიწები, რი მიწები, ჯო, — წაუკახურა გოგამ ჩემ ჯიბრზე, — ვერ მიგიხვდი?

— ამას რომ მიხვდე, სიმონ, ჯერ დედამიწის პულსს უნდა მიაყურადო.

— რავა, პულსი ოუჩქარდა თუ?

— ჰო, ოუჩქარდა, ოუჩქარდა, — გამოვაჯავრე, — საწყალი თურმე წინასაინფარქტო სტადიაშია. აი, რომ ამოყირავდება, შენნაირები მერელა გამოფხიზლდებიან.

— კარგი ერთი, ვის აშაყირებ. დედამიწა მართლა ხარის რქაზე კი არა დგას, რომ გადმოვარდეს და ამოყირავდეს.

— დედამიწა არ ვიცი, მაგრამ შენ რომ ნამდვილად ხარის რქაში ზიხარ, ამაში ნაღდად დავრწმუნდი.

— მიდი, მიდი, გაუტიე! — მაქეზებს გოგა.

— რატომაც არა, მეტის ღირსიცა ხარ, მთელი დუნია ელამელას არი ნაცემი და ნუთუ შენ არაფერი გაგიგია?

— რა უნდა გამეგო?

— დედამიწა იღუპება, ძმაო, დედამიწა! ჯერ გლობალური დათბობა შეურყევს ჯანმრთელობას, მერე გამყინვარება მოუთავებს ხელს და დაემშვიდობე მშობლიურ პლანეტას...

— მერე ჩვენ რა უნდა ვქნათ?

— მაგას არ გეუბნები? უნდა გავასწროთ და ვიდრე მთვარეზე ყველაფერი არ გაყიდულა, მიწები მაინც შევიძინოთ.

— იქაური გაყინული, უწყლო და უსიცოცხლო მიწები ქართველებს რაში გამოგვადგება?

— მერე, ვინ გითხრა, რომ უსიცოცხლოა?

— ამერიკელებმა საკუთარი თვალით არა ნახეს?

— არ დაიჯერო, მგონი, როგორც ვიცი, იქ საერთოდ არ ყოფილან.

— აბა ფილმი რომ გვაჩვენეს, სად გადაიღეს?

— აქ, დედამიწაზე გადაუღიათ.

— ტყუილი რაში დასჭირდათ?

— მაშინდელი საბჭოთა მთავრობის გასაცუცურაკებლად. ამერიკელები რომ მართლა მთვარეზე დამსხდარიყვნენ, მერე შენ იქიდან გამორეკავდი? ახლა ისეთი ბიზნესი ექნებოდათ გაჩაღებული, რომ ნავთობის საბადოების ხელში ჩასაგდებად ერაყ-სირიის ომი აღარ დასჭირდებოდათ.

— შენ ფიქრობ, რომ მთვარეზე გაზისა და ნავთობის საბადოები იქნება?

— აბა იმხელა მთვარე ტყუილად ხომ არ გაცდება. რაც შეეხება მიწას, თუ იქაური არ მოგვეწონა, ბოლოს და ბოლოს, საზღვარგარეთიდან შევიტანთ (ისრაელი ასე არ მოიქცა?).

— წყალს?

— იმასაც. ჩრდილოეთის ოკეანეში ყინული თუ გადნა, ნამატ წყალს სხვა რაში გამოვიყენებთ, ავდგეთ და მთვარეზე წავიღოთ.

— მაგრამ ბენდუქიძე ცოცხალი აღარ არის და მიწებს ვინ მოგვყიდის?

— სამაგიეროდ, ხადური გვყავს, რომელიც ფინანსების საქმეში ბენდუქიძეს არაფრით ჩამოუვარდება.

— მაგრამ, როგორც ვიცი, ხადურს ნატო არ ევასება და პოლიტიკაშიც უფრო რუსეთისკენ იხრება.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ნატო ევროპიდან მთვარეზე გადასვლას არ აპირებს და მეორეც, — რუსებს თურმე ქართველებთან მეზობლობა აღარ სურთ და მარსზე დასახლებას აპირებენ.

— ეს უკვე კარგია, — მოიწონა გოგამ, — მთვარეზე რუსებთან ფლირტი აღარ დაგვჭირდება, მაგრამ ხალხს ფული რომ არა აქვს, მიწებს რით შეისყიდის?

— ხალხს თუ არა აქვს, მთავრობას ხომ აქვს? როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვე, ჩვენი მთავრობა ორ-სამ თვეში უკვე მთვარეზე იქნება და უზრუნველად იცხოვრებს.

— მერე ჩვენა?

— ჩვენა, ჩემო ბატონო, სხვა თუ ვერაფერი მოვახერხეთ, ბოლოს და ბოლოს, ავდგეთ და იუპიტერზე დავსახლდეთ. იქ ფართობი აუთვისებელია და მიწებს თურმე უფასოდ არიგებენ.

— მერე მთავრობა რას იზამს, მთვარიდან გვიხელმძღვანელებს?

— სხვა გზა რომ არ ექნება, შე კაცო, უპატრონოდ ხომ არ მიგვატოვებს. პასუხისმგებლობას რომ თავი გავანებოთ, ხალხი თუ არ მწყემსა, პრემია-დანამატებს ჰაერზე ხომ ვერ გამოიწერს?

ოტია ჩართოლანი

◉ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **წულუკიანი — სასჯელის სახით შემოგვაქვს შინაპატიმრობა... პაჟიზნენი მქონია და აქამდე არ ვიცოდი.**

● **ბარამიძე კვირიკაშვილს — რო ამბობთ ყველაფერი კარგად არისო, რატომაა ქვეყანა ცუდ დღეში?**

● **ბიჭო, 2008-ში რომ ამბობდა შენი პრეზიდენტი, ომი მოვიგეთო, მაშინ არ გაგიჩნდა კითხვა — თუ მოვიგეთ, ცხინვალში რატო ვერ შევდივართო?**

● **ჩვენ ბოდიში, ქადაგიძეს თურმე დღევანდელი შეხვედრის ფორმატი არ მოეწონა. როცა ეროვნული ბანკის მოსმენა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ხდება, მე დიდად არ მომწონს, რადგან ძალიან დიდი საფრთხეა ბანკის პოლიტიზებისო-ვოო. ქადაგიძე, პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან რო ყრიდი 2012 წელს თანამშრომლებს, მაშინ ვერ ხედავდი ბანკის პოლიტიზების საფრთხეს? თქვენი ორმაგი სტანდარტების შუბა დავხიე.**

● **სხვათაშორის, ქართველების გულმავიწყობა მაოცებს — ნუთუ დაგავიწყდათ აღვირახსნილი უკანონობა, ჯიბეგასიებული, ვითომ ძალიან წესიერი მინისტრები, ციხეში წამება, კაცების გაუპატიურება(!), ბიზნესის და ფულის წართმევა, იდიოტებისთვის განკუთვნილი ტელეარხები, ქალების გახრწნა, მითუმეტეს, ვითომ ინტელექტუალი ცოლების... და ტრაბახი და ტრაბახი - კორუფციას მოვერიეთო, ამერიკის და ევროპის ლობისტების გაბადრული სახეები (ო, რა ფული წაიღეს, იმ კარგდედმამიშვილებმა, ახლა ნაცისტები რომ აშანტაჟებენ: მხარი დაგვიჭირეთ, თორემ ვიტყვით, რა ფული წაართვით ქართველ ხალხსო!)და კოჰაბიტაცია, ასე რომ გაამწარა ჩვენი ხალხი!.. და 21 მარტი!.. თუ დაიწყო ნაცისტების საოცნებო პროვოკაცია, არ დაავიწყდეთ, რომ ჩრდილოეთის დიდი მეზობელი, უკრაინის არ იყოს, 2 საათში თბილისში იქნება...ვაჟკაცები, როგორც 2008 წელს, მოკურცხლავენ, ან პირიქით აგრესორებს ვასალურ საქართველოს მთავრობაში შეიყვანენ!.. ო, მოღალატე მამულიშვილებო, მოგკითხავენ, ადრე თუ გვიან! მოგკითხავენ!**

● **სჯობს იყო პირველი სახლში, ვიდრე მეორე ევროატლანტიკურ კავშირში!**

● **ვალების მეტი რა მაქვს, მაგრამ ახლა ვნახულობდი და ქადაგიძე არ მყავს სიაში.**

რა გინდა ბიჭო? რას „გვეიაზვები“ და „გვესიდედრები“? რაც არ უნდა იცილებდე კითხვებს, მაინც შენი და შენი „გუნდის“ ბრალია, პირველ რიგში, რაც ქვეყანაში ხდება, ლართან დაკავშირებით, მაგრამ იმასაც ვერ ვხვდები, რატომ ხარ მაგ თანამდებობაზე?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძე

განცხადება

2015 წლის 5 მაისს, 15 საათზე, ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7) გაიმართება შპს „დარკვეთი-2009“-ს მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საწარმოს საქმიანობის მიზანია მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა, მანგანუმის მადნის შემოტანა, მისი გამდიდრება და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● **ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ, №7;**

● **შპს „დარკვეთი-2009“-ს ოფისში — ქ. ჭიათურა, საჩხერის გზატკეცილი ნოფის მიმდებარე ტერიტორია;**

● **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.**

ტელ: 5(95)59 52 55; 5(95) 28 75 60.

საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „დარკვეთი-2009“-ის
ადმინისტრაცია

◎ წყალბურთი

რვა საგზურისთვის 22 გუნდი იბრძვის

წლეულს 12-28 ივნისს აზერბაიჯანის დედაქალაქი პირველ ევროპულ თამაშებს უმასპინძლებს. მედლებისთვის მებრძოლ 23 სახეობის წარმომადგენლებს შორის წყალბურთელებიც იქნებიან. ვაჟებში 16 გუნდი იასპარეზებს და რვა ფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილია. ესენი არიან მასპინძელი აზერბაიჯანი და 2013 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის პირველი შვიდი საუკეთესო ნაკრები: ჩერნოგორია, სერბეთი, იტალია, უნგრეთი, ხორვატეთი, რუსეთი და ესპანეთი. დანარჩენი რვა საგზურისთვის 22 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებიან ერთმანეთს. ისინი ოთხ საკვალიფიკაციო ჯგუფში არიან გადანაწილებული:

A ჯგუფი. საბერძნეთი, უკრაინა, ბელარუსი, სლოვენია, ჰოლანდია (მასპინძელი), პორტუგალია.

B ჯგუფი. თურქეთი, **საქართველო,** სლოვაკეთი, ბულგარეთი, მოლდოვა, ავსტრია (მასპინძელი).

C ჯგუფი. რუმინეთი, საფრანგეთი, პოლონეთი (მასპინძელი), ისრაელი, ჩეხეთი.

D ჯგუფი. გერმანია, მალტა (მასპინძელი), დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ლატვია.

ბაქოს საგზურებს ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო დაიმსახურებს. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები (ნიკა ლეთოდიანი, გიორგი ადეიშვილი, გიორგი ღავთაძე, გიორგი თეთრაძე, ნიკა ცანკაშვილი, სანდრო ადეიშვილი, ვაჟა ფურცელაძე, ნიკა შუშიაშვილი, გიორგი მესხი, გიორგი მაგრაქველიძე, მიხეილ გვენცაძე, დავით ჯუღაშვილი, ნიკოლოზ ჩხიკვიშვილი) გრაცში (ავსტრია) იმყოფება და ასპარეზობის პირველ დღეს ჯგუფის ფავორიტ თურქებს დაუპირისპირდა. მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველ 8-წუთიან მონაკვეთში გადაწყდა — ეს პერიოდი თურქებმა მოიგეს — 6:2. მათ არც მომდევნო რაუნდებში დაუთმიათ უპირატესობა და საბოლოოდ 18:9 გაიმარჯვეს.

გაუწყებთ ჯგუფების მიხედვით პირველი ტურის შეხვედრათა შედეგებს:

A ჯგუფი. უკრაინა-საბერძნეთი 3:20 (0:6, 0:4, 2:6, 1:4), ჰოლანდია-პორტუგალია 29:3 (6:0, 8:2, 7:1, 8:0), სლოვენია-ბელარუსი 10:13 (2:3, 3:4, 3:2, 2:4).

B ჯგუფი. თურქეთი-საქართველო 18:9 (6:2, 4:3, 2:2, 6:2), ავსტრია-მოლდოვა 9:9 (3:1, 0:2, 1:2, 5:4), სლოვაკეთი-ბულგარეთი 27:3 (6:1, 6:2, 7:0, 8:0).

C ჯგუფი. ჩეხეთი-რუმინეთი 1:28 (0:3, 0:9, 1:7, 0:9), საფრანგეთი-პოლონეთი 17:3 (3:1, 1:0, 6:0, 7:2).

D ჯგუფი. გერმანია-დიდი ბრიტანეთი 19:7 (5:2, 2:2, 8:3, 4:0), მალტა-ლატვია 51:0 (11:0, 13:0, 14:0, 13:0).

გუშინ მეორე ტურში საქართველოს ნაკრებმა მოლდოვა დაამარცხა ანგარიშით 11:5 (5:1; 1:2, 3:2, 2:0).

ლევანი ცინცაძე

◎ ხელბურთი

ქუთაისში - თურქეთის გავლით

მაკედონიაში წლეულს 13-23 აგვისტოს 17-წლამდელ ხელბურთელ გოგონათა ევროპის პირველობის ფინალური ეტაპი გაიმართება. იქ მოსახვედრად საქართველოს ნაკრები 20-22 მარტს ქუთაისში საკვალიფიკაციო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. რიონისპირა ქალაქში ფინალის ორი საგზურისთვის მასპინძლებთან ერთად ნორვეგიელები, ჰოლანდიელები და ლიტველები იბრძოლებენ. ამ ტურნირისთვის დიდი ხანია ემზადება საქართველოს ნაკრები **(თინათინ ყაველაშვილი** („პეგასი"), **ანა ვარდიშვილი** („მამული"), **ქრისტინე ჯავახია** („ფოთი"), **თამარ ჩოგოვაძე** („პეგასი"), **ქრისტინე ღვალაძე** („მამული"), **თათია გადელია** („ფოთი") **ქეთი კუნელაშვილი** („ყვარელი"), **თინათინ ქიტესაშვილი** („ყვარელი"), **მაია ბერიძე** („პეგასი"), **ანა ყველაშვილი** („მამული"), **მედეა ჩოხელი** („პეგასი"), **თამთა თეთრაშვილი** („ყვარელი"), **ქეთევან ვენეკი** („პეგასი"), **ნინო გაბისონია** („მამული"), **ლელა მორჩაძე** („პეგასი"), **მარიამ მიხელიძე** („ყვარელი"), მთავარი მწვრთნელი **როლანდ ერაძე,** მწვრთნელი **გიორგი გვაზავა),** რომელიც დღეს თურქეთში გაემგზავრება ამხანაგური მატჩების გასამართავად. ჩვენები 15-16-17 მარტს ტრაბზონში შეხვდებიან თურქ თანატოლებს, იქიდან კი ქუთაისში ჩავლენ. გუნდმა შეკრება გლდანში ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის აკადემიის დარბაზში გაიარა. როლანდ ერაძისა და გიორგი გვაზავას განკარგულებაში, ფაქტობრივად, ყველა უძლიერესი მოთამაშეა. ტრავმა მოიშუშა და ფორმაში შედის გუნდის საუკეთესო ბომბარდირი თათია გადელია. საგულისხმოა, რომ ჩვენი 17-წლამდელ გოგონათა ნაკრები 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალშიც მოსინჯავს ძალებს. ქუთაისის სპორტის სასახლეში გასამართავი საკვალიფიკაციო ტურნირის განრიგი ასეთია:

20 მარტი. 16 ნორვეგია-ჰოლანდია, 18 ლიტვა-საქართველო.

21 მარტი. 16 ნორვეგია-ლიტვა, 18 ჰოლანდია-საქართველო.

22 მარტი. 14 ჰოლანდია-ლიტვა, 16 საქართველო-ნორვეგია.

ლაშა დიდია

◎ რაგბი

ცნობილაძეებმა, არაო

„რაგბი ევროპის ჩემპიონატზე" საქართველოს მორაგბეთა ნაკრების დღევანდელი მეტოქე რუსეთის ეროვნული გუნდი ამ ორთაბრძოლისთვის სოჭში ემზადებოდა. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა ნაკრების სათავეში მისვლისთანავე უხმო ამ ქვეყანაში მოთამაშე ძმებს - გრიგოლ და ვალერი ცნობილაძეებს და საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ გამოსვლა მოსთხოვა, რაზეც ძმებმა უარი განაცხადეს, რადგან მათ იმთავითვე ჰქონდათ ნათქვამი, რომ რუსთა გუნდს სიამოვნებით დაეხმარებოდნენ, თუმცა საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ არასდროს ითამაშებდნენ. პერვუხინმაც ისინი შეკრებაზე არ გამოიძახა.

გივი გაგუა

სურათზე: გრიგოლ და ვალერი ცნობილაძეები.

◎ კალათბურთი

მეფეთ-მეფის ნადავლი

ნბა-ს რეგულარული სეზონის ფინიშზე გაიმართა მატჩი, რომელმაც საეჭვო გახადა პროფესიული კალათბურთის გვირგვინოსნის ვინაობა.

საუბარია ასოციაციის მოქმედი ჩემპიონის „სან ანტონიო სფურზისა" და „კლივლენდ კავალიერზის" ბრძოლაზე, რომელსაც ტეხასის დედაქალაქმა უმასპინძლა.

მოგეხსენებათ, ნბა-ს მეფე ლებრონ ჯეიმსი შარშან „მაიამი ჰიოთში" თამაშობდა, თუმცა სატიტულო სერიაში მისი დიდოსტატობა საკმარისი არ აღმოჩნდა მორიგი ოქროს ბეჭდის მოსაგებად.

რევანშის აღების შანსი ლებრონს გუშინ გამთენიისას, უკვე კავალრების მაისურით მიეცა და მანაც ახალი პარტნიორების ძალისხმევით მიზანს მიაღწია — მრისხანე მეტოქე დამატებით დროში 128:125 დაამარცხა.

რაც შეეხება ჯეიმსის პირად მონაგარს, 31 ქულამ, დაგვეთანხმებით, კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი უჭკნობი ტალანტი, თუმცა შეხვედრის გმირად მაინც სტუმართა გამთამაშებელი კაირი ირვინგი მოგვევლინა, რომელმაც თავისი გუნდის ყულაბაში მართლაც მეფური ნადავლი — 57(!) ქულა ჩააჩხრიალა.

არანაკლებ დრამატულად განვითარდა მოვლენები „ინდიანა პეისერზისა" და „მილუოკი ბაქზის" დუელში, რომლის ბედიც მასპინძელთა სასარგებლოდ ასევე ოვერტაიმში გადაწყდა — 109:103. საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ სეზონში მეთერთმეტე „დუბლი" შეასრულა — 16 ქულა, 12 მოხსნა.

ასევე წარუმატებლად დასრულდა ევროლიგაში მოთამაშე თორნიკე შენგელიას ბასკური კლუბის „ლაბორალ კუჩასთვის" რუსეთში „ნიჟნი ნოვგოროდთან" ვიზიტი — 85:89. 32 წუთში „ჯვაროსანთა" ერთ-ერთმა ლიდერმა 11 ქულას, 7 მოხსნას (4 შეტევაში), 1 პასს და 1 ჩაჭრას მოუყარა თავი.

ვიტორიელები 4 გამარჯვებითა და 6 წაგებით F ჯგუფში მეხუთე ადგილზე რჩებიან და 20 მარტს XI ტურში ფავორიტ პირეოსის „ოლიმპიაკოსს" დაუხვდებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

წაგებითაც სწავლობენ

ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდი ჰოლანდიაში მასპინძელთა და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებების შეხვედრით გაიხსნა.

გორა ტყეებუჩავას გუნდი დებიუტიდანვე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, როცა „ნარინჯისფრებმა" მე-10 წუთზევე გახსნეს ანგარიში. დიდი ძალისხმევის მიუხედავად ჭაბუკმა „ჯვაროსნებმა" ბრძოლის ხასიათში გარდატეხის შეტანა ვეღარ შეძლეს და 0:2 დამარცხდნენ.

პირველი ტურის მეორე მატჩში ბელგიამ ჩრდილოეთირლანდიელები გაანადგურა — 4:0 და სოლიდური ნაბიჯი გადადგა ფინალური ტურნირისკენ.

* * *

ევროპის ლიგა. მერვედფინალი. I მატჩები.

„ფიორენტინა" — „რომა" 1:1, „ვილიარეალი" — „სევილია" 1:3, „ევერტონი" — კიევის „დინამო" 2:1, „ვოლფსბურგი" — „ინტერი" 3:1, „დნიპრო" — „აიაქსი" 1:0, „ზენიტი" — „ტორინო" 2:0, „ნაპოლი" — მოსკოვის „დინამო" 3:1, „ბრიუგე" — „ბეშიქთაში" 2:1.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

სუზანა ვერნერი კვლავ პოპულარულია

ბრაზილიელი მოდელი სუზანა ვერნერი ქალთა იმ კატეგორიაში გადის, რომელთაც ამქვეყნად ყველაფერი იხილეს, ყველაფერი გამოსცადეს და ახლა უკვე დაუდგათ ჟამი, როდესაც მშვიდ და უდრტვინველ ცხოვრებას უნდა მიეცნენ, რასაც სუზანა მშვენივრად ახერხებს.

სუზანა, რომელიც ერთ დროს დიდი ბრაზილიელი ფეხბურთელის ლუის ნაზარიო დე ლიმა რონალდოს გულისსწორი იყო, დაახლოებით 10 წელია, რაც ბრაზილიის ნაკრების ყოფილი გოლკიპერის ჟულიო სეზარის ცოლია და, როგორც ბრაზილიის ბულვარული მედია წერს, საკმაოდ კარგი მეუღლეცაა.

ჟულიოს და სუზანას 3 შვილი ჰყავთ და მშობიარობის თანმხლები პრობლემების მიუხედავად, ეს ქალი ფორმაში ყოფნას და მისი ასაკის მამაკაცების მოხიბლვას მაინც ახერხებს. სუზანა ვერნერი არც ჟურნალისტებს გაურბის და საკუთარ წარსულსა და დღევანდელობაზეც ისე გულღიად საუბრობს, თქვენი მოწონებული...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კეთილი ურთიერთობა თავიდან იწყება

ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებთა გადაწყვეტილება, გააგრძელონ საქართველოსთან ურთიერთობა, ნიშნავს იმას, რომ ისინი არჩევანს საქართველოში არსებული ჯანდაცვის უმაღლესი ხარისხის სასარგებლოდ აკეთებენ, ნაცვლად ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთის როსტოვისა და კრასნოდარის რეგიონებში მათთვის ხელმისაწვდომ სამედიცინო დაწესებულებებში არსებულისა – წერს „ჯეიმსთაუნის ფონდის“ გამოცემა სტატიაში „რატომ ჩამოდიან ოსები და აფხაზები სამკურნალოდ საქართველოში?“

„ჯეიმსთაუნის ფონდი“ საქართველოს ახლანდელი და ყოფილი ხელისუფლების მიდგომებს შორის განსხვავებაზეც ამახვილებს ყურადღებას, აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილის, მთავრობის დროს, აფხაზ და ოს პაციენტებს საქართველოში მკურნალობისათვის ჯერ საქართველოს მოქალაქეობა უნდა მიეღოთ, მინიმუმ საქართველოს პირადობის ნომერი და სოციალური დაზღვევის ბარათი უნდა ჰქონოდათ, ახალმა მთავრობამ კი გადაწყვიტა, მოეხდინა სამედიცინო დახმარების მეტი ლიბერალიზაცია და ახლა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს აღარ სჭირდებათ საქართველოს დოკუმენტების ქონა. საკმარისია მხოლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მათი ცხოვრების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

იმ ფონზე, როდესაც რუსეთი და სამხრეთ ოსეთი აპირებენ, ხელი მოაწერონ „ალიანსისა და ინტეგრაციის“ ხელშეკრულებას, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა გააკრიტიკა საქართველოს სეპარატისტული ავტონომიური რეგიონის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც კვლავ საქართველოში ჩადის სამკურნალოდ. მთავრობის სხდომაზე თიბილოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „უმეტეს შემთხვევებში პაციენტებს მეზობელ ქვეყანაში (საქართველოში) წასვლა აღარ სჭირდებათ“. გარდა ამისა, როგორც თიბილოვმა აღნიშნა, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება აპირებს, „განავითაროს საკუთარი სამედიცინო ცენტრები და მოიზიდოს სპეციალისტები“. „ჩვენ უკვე აქტიურად ვმოქმედებთ, ვიწყებთ თანამედროვე სამედიცინო ცენტრის მშენებლობას, შესაბამისი აღჭურვილობით,“ – თქვა მან.

სეპარატისტული რეგიონის მცხოვრებლებს მაინც ურჩევნიათ, თბილისში მიიღონ სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გაიკეთონ რთული ოპერაცია. ამის გამო პაციენტები სამხრეთ ოსეთიდან ჯერ ჩრდილოეთ ოსეთში მიემგზავრებიან, რომელიც რუსეთის ფედერაციის ნაწილია. შემდეგ ისინი რუსეთ-საქართველოს ოფიციალური საზღვრის - ლარსის სასაზღვრო პუნქტის გავლით, ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან რუსული პასპორტებით შედიან საქართველოში, რადგან არ სჭირდებათ ქართული ვიზა. სასაზღვრო შემოწმების გავლის შემდეგ, ისინი საქართველოში ჩადიან სამედიცინო დახმარების მისაღებად ან ოპერაციის გასაკეთებლად.

ჩვენმა წყარომ საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროდან „ჯეიმსტოუნს“ აცნობა, რომ გასული ექვსი წლის განმავლობაში რამდენიმე ასეულმა ოსი ეროვნების წარმომადგენელმა მიიღო სამედიცინო დახმარება საქართველოს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

პატარა სეპარატისტული რეგიონისთვის, რომლის მთელი მოსახლეობა 20-30 ათას ადამიანს არ აღემატება, არაოფიციალური წყაროების თანახმად, ეს დიდი ციფრია. ოსმა პაციენტებმა უნდა გადალახონ ამდენი ბარიერი და მოითმინონ კრიტიკა ხელისუფლების მხრიდან მათსა და „მტერ სახელმწიფოს“ შორის არსებული თანამშრომლობის გამო.

რა უბიძგებს ოსებს, გაემგზავრონ საქართველოში, მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებისა? პირველ რიგში ის, რომ სამხრეთ ოსეთში, მას შემდეგ, რაც რუსეთმა მისი დამოუკიდებლობა ცნო, თანამედროვე კლინიკა არ აშენებულა, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელა ამ რეგიონის განვითარებისათვის. და მხოლოდ ახლა იძლევა პრეზიდენტი თიბილოვი ასეთი კლინიკის აშენების დაპირებას.

მეორე ის, რომ ოსებს აქვთ შესაძლებლობა, შეადარონ საქართველოში არსებული მკურნალობის დონე ჩრდილოეთ ოსეთის ან რუსეთის ფედერაციის სხვა მიმდებარე რეგიონებში მკურნალობის დონეს. ამდენად, მათი გადაწყვეტილება, გააგრძელონ საქართველოსთან ურთიერთობა, ნიშნავს იმას, რომ ისინი არჩევანს საქართველოში არსებული ჯანდაცვის უმაღლესი ხარისხის სასარგებლოდ აკეთებენ, ნაცვლად ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთის როსტოვისა და კრასნოდარის რეგიონებში მათთვის ხელმისაწვდომ სამედიცინო დაწესებულებებში არსებულისა.

ასეულობით ოსი და აფხაზი თბილისში მკურნალობს!

აფხაზებს და ოსებს შეუძლიათ საქართველოში თითქმის უფასოდ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით ისარგებლონ

და მესამე, – ოსებს შეუძლიათ, საქართველოში თითქმის უფასოდ ისარგებლონ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით იმ სპეციალური პროგრამის წყალობით, რომელიც დაიწყო საქართველოს მთავრობამ. საქართველოში არ არის სახელმწიფო საავადმყოფოები, მაგრამ მთავრობა უხდის კერძო კლინიკებს იმ მომსახურების საფასურს, რომელსაც ისინი უწევენ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას.

სამხრეთ ოსეთის ხალხის მიმართ, რომლებსაც საქართველო იურიდიულად თავის მოქალაქეებად მიიჩნევს, ასეთი პოლიტიკის („კეთილი ნება“) ერთ-ერთი მთავარი მომხრე და ინიციატორი იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხში პაატა ზაქარეიშვილი. „ჯეიმსთაუნისათვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ლეონიდ თიბილოვის განცხადებები ვერ შეცვლის საქართველოს ხელმძღვანელობის მიდგომას ამ პრობლემისადმი და არც ოსების დამოკიდებულებაში შეიცვლება რამე ქართულ საავადმყოფოებში მკურნალობასთან დაკავშირებით. „ჩვენ უწინდებურად ვაგრძელებთ მუშაობას. მთავარი ის არის, რომ ცხინვალის (სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი) მცხოვრებლები ისევ ენდობოდნენ ჩვენს პროგრამას, მიიღონ სრული სამედიცინო დახმარება ჩვენს კლინიკებში. არ არსებობს ნიშნები, რომლებიც მიუთითებდეს, რომ ეს პროცესი შეწყდება“. – განაცხადა ზაქარეიშვილმა. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ოსებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის პროგრამა „ხორციელდება საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე და ჯანდაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია ამ თანხების განაწილებაზე.“

სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი დარწმუნებულია, რომ ოსები თბილისში ჩამოვლენ სამკურნალოდ, რადგანაც საქართველოს აქვს „მაღალი ხარისხის და არაკორუმპირებული ჯანდაცვის სისტემა“. მისივე თქმით, „იმისათვის, რომ ცხინვალის მოქალაქეებმა მიიღონ ასეთივე დონის სამედიცინო დახმარება, ისინი მოსკოვში ან პეტერბურგში უნდა გაემგზავრონ, რაც ძალიან შორსაა, თბილისი კი მხოლოდ 40 წუთის სავალზეა ცხინვალიდან “.

თუმცა, სახელმწიფო მინისტრმა სინანულით აღნიშნა ის, რომ ცხინვალის ხელისუფლება არ აძლევს საშუალებას ამ ტერიტორიის მცხოვრებლებს პირდაპირ ჩამოვიდნენ საქართველოში. ასე რომ, „ისინი ჯერ ვლადიკავკაზში უნდა მოხვდნენ და მერე თბილისში. ამიტომ მათ ორჯერ უწევთ კავკასიის მთავარი ქედის გადალახვა, ამას კი ისინი ზამთარშიც აკეთებენ იმისთვის, რომ თბილისში მოხვდნენ“.

აფხაზეთის მცხოვრებნი ასევე იღებენ მკურნალობას საქართველოში. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის“ პარლამენტის თავმჯდომარემ გიორგი გვაზავამ, ანუ საქართველოში აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენელმა „ჯეიმსთაუნს“ 2014 წლის 15 ნოემბერს განუცხადა, რომ აფხაზეთის რიგითი მოქალაქეების უმრავლესობას არა აქვს სიძულვილი საქართველოსადმი. სასწრაფო დახმარების მანქანებს დასავლეთ საქართველოდან ხშირად მოჰყავთ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფები აფხაზეთიდან ქუთაისის, ზუგდიდისა და თბილისის კლინიკებში გადაუდებელი მკურნალობისათვის. აფხაზეთის ხელისუფლებას ასევე არ მოსწონს ეს ფაქტი, მაგრამ ისინი არჩევენ, არ შეუქმნან დაბრკოლება მათ მცხოვრებლებს, რომლებსაც შეუძლიათ, მიიღონ დახმარება საქართველოდან.

განსხვავება საქართველოს ახლანდელი და ყოფილი ხელისუფლების მიდგომებს შორის ის არის, რომ მიხეილ სააკაშვილის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავრობის დროს, აფხაზ და ოს პაციენტებს საქართველოში მკურნალობისათვის ჯერ საქართველოს მოქალაქეობა უნდა მიეღოთ, მინიმუმ საქართველოს პირადობის ნომერი და სოციალური დაზღვევის ბარათი უნდა ჰქონოდათ. თუმცა, მოგვიანებით, ახალმა მთავრობამ, „ქართული ოცნების“ სახით, სამედიცინო დახმარების მეტი ლიბერალიზაცია უზრუნველყო და ახლა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს აღარ სჭირდებათ საქართველოს დოკუმენტების ქონა. საკმარისია მხოლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მათი ცხოვრების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ეს სიახლე ასე განმარტა, – მისი თქმით, მკურნალობის გაწევა წმინდა ჰუმანიტარული საკითხია და პოლიტიკური დატვირთვა არა აქვს. „ჩვენ არ გვინდა ამ პროცესის რეკლამირება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მცხოვრებლები მაინც ჩამოდიან, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა. სერიოზულად არავინ ცდილობს, შეეწინააღმდეგოს ხალხის სურვილს, სამედიცინო დახმარება მიიღონ იქ, სადაც მკურნალობა ხარისხიანი და უფასოა“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა. ნათელია, რომ ეს პოლიტიკა შეიძლება გახდეს თვალსაჩინო მაგალითი თბილისის შერბილებული პოზიციისა მოსკოვთან მეტოქეობაში საქართველოს სეპარატისტულ ტერიტორიებთან დაკავშირებით.

„jamestown.org“

გახსენება



მოვიგონოთ, ფეხზე წამოვუდგეთ, შესანდობარი შევსვათ, პატივი მივაგოთ, სანთელი ავუნთოთ სამუდამო სასუფეველში მყოფ კავშირგაბმულობის ღვაწლმოსილ, დამსახურებულ და ვეტერან ადამიანს

ბორის ბოჭორიშვილს

რომელმაც მინისტრის მოადგილედ მუშაობის რამდენიმე ათეული წელი მაღალ დონეზე უხელმძღვანელა კავშირგაბმულობის სისტემას, მოიხვეჭა ყველას სიყვარული, პატივისცემა და ერთგულება.

დღეს ერთი წელი შესრულდა, რაც ბორისი ჩვენგან წავიდა, მაგრამ მარად დაუვიწყარი იქნება იგი მისი დიდი ოჯახის, შვილების, შვილიშვილების, შთამომავლებისა და უახლოესი ადამიანებისთვის.

ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, მამია სულაბერიძე, თეიმურაზ ღოღობერიძე, რემი გველესიანი, ჯემალ ვაშაკიძე, გელა ძოძიაშვილი, ნოდარ ჯიძია, გურამ ხმალაძე, თეიმურაზ ბუცხრიკიძე, გურამ გოგბაშვილი, ვიტალი გოგიბერიძე, ნოდარ დევიძე, ზურაბ ჯაფარიძე, ამირან შალამბერიძე, პავლე გიორგობიანი, გენადი შეროზია, ნუგზარ კვიკვინია.

ს.ს. „ლაღიძის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის

გუგული ჯავახიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ნინო ჩირაძე, ნათელა ჩიქოვანი, ლენა მღებრიშვილი, ლამარა ბაბილუა, მერი მჭედლიშვილი, ლამარა კალმახელიძე იუწყებიან უახლოესი მეგობრის, უსათნოესი ქალბატონის

ენძელა ორჯონიკიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

„თავისუფალი ზონის“ ოთხი წევრი სასამართლომ 100 ლარით დააჯარიმა

ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთისა და თავისუფალი ზონის წარმომადგენელი ხუთი პირიდან ოთხს სასამართლომ 100-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლის ფარნაოზ ჭკადუას მიმართ კი მოსამართლის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული დევნა შეწყდა, შესაბამისად, ჭკადუა ჯარიმის გარეშე დარჩა.

სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ საქალაქო სასამართლოში ხმაური იყო. კერძოდ, დარბაზთან შეკრებილი „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლებმა დარბაზიდან გამოსული ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას მიმართ უცენზურო სიტყვები გამოიყენეს, რასაც ხმაური მოჰყვა. დარბაზიდან გამოსული „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლებმა ბოკერია ხმაურით გააცილეს.

ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიცია, რომელმაც ვითარების განმუხტვა დროულად შეძლო, შესაბამისად რაიმე სახის ფიზიკურ დაპირიპირებას მხარეებს შორის ადგილი არ ჰქონია.

სადღობელაშვილის სასამართლო პროცესს „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სადღობელაშვილმა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ მომხდარი ინციდენტი ნაციონალების მხრიდან პროვოკაციად შეაფასა.

„პირველ რიგში მინდა, ვთქვა, რომ „რუსთავი-2“ არის პროვოკატორი. ასევე მინდა, ვთქვა, რომ თუ მე მაკავებენ, დააკავონ ბოკერია და მამა-შვილი გაბაშვილები, რომლებიც არიან ამ პროვოკაციის სულის ჩამდგმელები“, – განაცხადა ლადო სადღობელაშვილმა.

პატიმარმა მაგიდაზე ხელები დაიჭედა

ძუთაისის ნომერ მეორე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარი მერვე დღეა შიმშილობს. პატიმრის ახლობლის ინფორმაციით, 30 წლის პატიმარს მაგიდაზე ორივე ხელი აქვს დაჭედებული.

როგორც პატიმრის დედა ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებს, მისი შვილი უკანონო პატიმარია და სამართალდამცავებმა იმ მიზნით დააკავეს, რომ მას გაუხსნელი საქმეები საკუთარ თავზე აეღო.

პატიმრის დედა აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში თუ სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას არ მიიღებს შიმშილობას ციხესთან დაიწყებს.

◎ სულიერება

ჯვრის თაყვანისცემა

15 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდმარხვის III კვირიაკეს ხვდება პატიოსანი ჯვრის საკურთხეველიდან მლოცველთა წინაშე გამობრძანებით, მისი თაყვანისცემით.

...ამ დიდ დღესასწაულზე მლოცველნი თაყვანს სცემენ მინდვრის ყვავილებით ლამაზად შეკრულ ჯვარს, ეამბორებიან მას, მუხლს იყრიან მის წინაშე: „...ჯვარსა შენსა თაყვანის ვცემთ მეუფეო, და წმინდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ“.

ასეთი წესით წმინდა ეკლესია შეგვაგონებს, რომ ჩვენ ხილულად ვხედავთ პატიოსან ჯვარს, როგორც მოთმინების, მღვიძარების, მხნეობისა და კეთილ საქმეთა კეთების ნიშანს, მარხვით დაუღლელობის სიმბოლოს...

მაცხოვარმა ხომ ჯვრით სძლია ცოდვას, სიკვდილს და ჯოჯოხეთს!

* * *

14 მარტს მიცვალებულთა ხსენებაა მარხვით.

* * *

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს მარხვის შესახებ: „გარდამოცემა მარხვის შესახებ ისეთივე ძველია, როგორც თვით სამყარო, პირველი მცნება, რომელიც ადამიანს უფლისგან მიეცა, მარხვის შესახებ მცნება იყო“.

გილოცავთ ჯვრის თაყვანისცემის დღესასწაულს!

გიული ლიპარტია

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84..

◎ კადრი

სკანვორდი



◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **მე** იმდენს გამოვიმუშავებ, რომ ორი შენნაირი ქალის შენახვა შემიძლია! — ეუბნება ქმარი ცოლს.

— მაშინ დედაჩემიც ჩვენთან იცხოვრებს.

* * *

— **ახალგაზრდობაში** 300-კილოგრამიან შტანგას ვეწეოდი.

— შეუძლებელია! 300 კილოგრამს მსოფლიო რეკორდსმენიც ვერ ეწეოდა.

— მე კი ვეწეოდი! თუმცა, ვერ ავწიე...

* * *

— **რით** განსხვავდება ინგლისელი ებრაელისგან?

— ინგლისელი ისე მიდის, რომ არ გემშვიდობება, ებრაელი კი გემშვიდობება, მაგრამ არ მიდის.

* * *

ახალგაზრდა მეხანძრე ადის სახანძრო კიბეზე, რომელიც ალმოდებული სახლის მოპირდაპირე სააბაზანოს კედელზე არის მიყუდებული. სააბაზანოში, გამჭვირვალე ხალათში გამოწყობილი ახალგაზრდა გოგო დგას.

— ოჰო. აი, მეორე ფეხმძიმე, რომელსაც წლეულს გადავარჩენ.

— მაგრამ ჯერ მე ფეხმძიმე არა ვარ.

— მაგრამ ჯერ არც გადამირჩენიხართ.

* * *

შეძრწუნებული მივხვდი, რომ ჩემი ოჯახის მთელი შემადგენლობა რასისტები ყოფილან.

შავკანიან გოგოსთან მქონდა პაემანი, მერე კი ჩემთან წავედით სახლში. ჩემმა ცოლ-შვილმა მასთან დალაპარაკებაც არ ისურვა, სიდედრმა კი ყავარჯენიც მოუქნია.

* * *

ნამდვილად ავად მაშინ ხარ, როდესაც სახლში მარტო წევხარ, არავინ არ გაწუხებს, ორ ნაბიჯზეა კომპიუტერი, ინტერნეტი, თამაშები... ადგომა კი არ გინდება.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24